კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოფიო ცხოვრებაძე

# პოლიტიკური რეპრესიები და შეიარაღებული კონფლიქტები, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევის მნიშვნელოვანი წყარო და მათი გავლენა კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე

საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი ვახტანგ მაისაია

თბილისი 2019 წელი.

# ანოტაცია


წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი „პოლიტიკური რეპრესიები და შეიარაღებული კონფლიქტები, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევის მნიშვნელოვანი წყარო და მათი გავლენა კავკასიის რეგიონულ უსაფრთხოებასა და სტაბიულურობაზე “ , იკვლევს  სამხრეთ კავკასიის რეგიონსა და მასში შემავალ ქვეყნებში პოლიტიკური რეპრესიებისა და შეიარერებული კონფლიქტების შედეგად ადამიანის უფლებათა დარღვევას, რაც გლობალიზაციის პირობებში გარდაიქმნა უნივერსალურ ღირებულებად, რომელიც ძირითადად თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოების პირობებში, გამოიხატება პოლიტიკური რეპრესიების და შეიარაღებული კონფლიქტების სახით, სადაც უშუალოდ იბღალება ადამიანის უფლებები და გახდა გეოპოლიტიკური დილემა დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნდამენტაური შეცვლისათვის ავტორიტარული რეჟიმის დამყარების კუთხით, აგრეთვე იგი არის მნიშვნელოვანი გამოწვევა რეგიონული უსაფრთხოების და სტაბილურობის ჭრილში. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია,  დადგინდეს კავკასიის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე რა გავლენა  აქვს პოლიტიკურ რეპრესიებს და შეარაღებულ კონფლიქტებს, და ასევე გამოიკვეთოს პოლიტიკური რეპრესიების და შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები და მათი თავიდან აცილების გზები. გარდა ამისა,  მნიშვნელოვანია, ასევე სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებული შეიარაღებული კონფლიქტების, რეგიონალური უსაფრთხოების პრობლემების და ამ პრობლემების მოგვარების მიზნით რეგიონის აქტორების მიერ განხორციელებული საქმიანობის ანალიზი.

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომით შესაძლებელი იქნება  კავკასიის რეგიონში არსებული პოლიტიკური რეპრესიებისა და შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად ადამიანის უფლებების დარღვევის და მათი მოგვარების საშუალებების სრულფასოვნად წარმოჩენა.

# Annotation

## Political Repressions and Armed Conflicts as a Significant Source of Human Rights Violation and their Influence on the stability and security of the caucasus region

The following master thesis "Political Repressions and Armed Conflicts as a Significant Source of Human Rights Violation and their Influence on the stability and security of the caucasus region" investigates the violations of human rights as a result of political repressions and armed conflicts in the South Caucasus region and its countries, which has become an universal value under the conditions of globalization. This, within the modern international security context, is expressed as political repressions and armed conflicts, where the human rights are directly desecrated and which has become a geopolitical dilemma to change the democratic institutions fundamentally in terms of establishing an authoritarian regime, also it is an important challenge in terms of the regional security and stability. The objective of the master thesis is to determine how the political security of repressions and armed conflicts affect the security and stability of the Caucasus, it also aims to highlight the facts of violations of human rights as a result of political repressions and armed conflicts and underline the ways to prevent them. In addition, it is also important to analyze the activities carried out by the region's actors in order to solve the armed conflicts in the South Caucasus region and the regional security problems.

The presented master thesis will make it possible to demonstrate the full picture of human rights violations and means of their solutions as a result of political repressions and armed conflicts in the Caucasus region.

**Sophio Tskhovrebadze**

# შინაარსი

**შესავალი.....6**

**თავი I ახალი პოლიტიკური გამოწვევები 21-ე საუკუნეში და მათი გავლენა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზე.....16**

1.1. ადამიანის უფლებების ასახვა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ სკოლებში(ლიბერალიზმი,ნეოლიბერალიზმი,სოციალურიკონსტრუქციონიზმი)...16
1.2. სამხედრო კონფლიქტების არსი და ტიპოლოგია თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოებაში..... 27
1.3. პოლიტიკური რეპრესიები და შეიარაღებული კონფლიქტები (ადამიანის უფლებების დარღვევის ჭრილში) .....29

**თავი II კავკასიის უსაფრთხოების გეოპოლიტიკური გამოწვევები- პოლიტიკური რეპრესიები და შეიარაღებული კონფლიქტები.....36**

2.1. საქართველოს პოლიტიკური განვითარების ეტაპები - არშემდგარი ქვეყანა თუ ტრანზიტული დემოკრატია.....36

2.2. აზერბაიჯანის პოლიტიკური დილემა- ჰიბრიდული დემოკრატიის ზღვარზე.....42

2.3. სომხეთის პოლიტიკური ტრანზიციის ჰუმანიტარული ასპექტები (ადამიანის უფლებები და თავისუფლების ხარისხი).....46

**თავი III კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების პრობლემები სტაბიულურობისა და კონფრონტაციის მიჯნაზე.....49**

3.1. კავკასიური კონფლიქტები და ჰუმანიტარული კრიზისი - აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტების მაგალითები.....49

3.2 რეგიონული უსაფრთხოების კონტურები 21-ე საუკუნეში და „უსაფრთხოების დილემა“.....53

3.3 ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (საქართველო,სომხეთი,აზერბაიჯანი).....58

**დასკვნა**.....**62**

**გამოყენებული ლიტრეატურა**.....**65**

# შესავალი

საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა რეგიონული კონფლიქტების დარეგულირება, განსაკუთრებით გეოპოლიტიკურად ისეთ სივრცეში როგორიც სამხრეთ კავკასიაა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მსოფლიოში განვითარებული მოვლენები საზოგადოებაზე ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას , შესაბამისად აუცილებელია ინფორმაციის მიღება, თუ რატომ ხდება ესა თუ ის მოვლენა და არის თუ არა შესაძლებელი განვითარებული მოვლენების პროგნოზირება და კონტროლი, გარდა ამისა, კონფლიქტების გავლენის ცოდნა მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს მხარეებს შორის არსებული კონფლიქტების დარეგულირება , როგორც ქვეყნის შიგნით , ასევე მის ფარგლებს გარეთ. აქედან გამომდინარე, კონფლიქტები მუდმივად უნდა იყოს კვლევის საგანი პოლიტიკური მეცნიებისთვის.

სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტები მუდმივად განხილვის საგანია ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, რაც ვლინდება იმ ფაქტით, რომ აღნიშნული კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებული პრობლემები ხშირად ფიგურირებს მათ რეზოლუციებში. საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა, აღნიშნული კონფლიქტები მნიშვნელოვანი და საყურადღებოა პოლიტიკოსებისა და დიპლომატებისთვის. აღნიშნული კონლიქტების დაკვირვებისა და მუდმივი კვლევისას მიღებული ცოდნა შესაძლებელს ხდის კონფლიქტების დარეგულების საკითხის განსაზღვრას და ანალიზს.

თემის აქტუალობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შეიარაღებული კონფლიქტების და პოლიტიკური რეპრესიების შედეგად ადამიანის უფლებების დარღვევის საკითხი.

# თემის აქტუალობა

კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესები განსაკუთრებით დინამიურობით ხასიათდება. გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე საკმაოდ მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენს და მრავალი სახელმწიფოს ინტერესები იკვეთება, რაც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ტრანსრეგიონალურ პროცესებზე. მსოფლიოში წამყვანი მკვლევრების მხრიდან არაერთხელ აღინიშნა, რომ კავკასია პოსტ-ბიპოლარული მემკვიდრეობის გაჯანსაღებას, დემოკრატიული ფასეულობების დანერგვას ყველაზე რთული მოვლენებით შეხვდა. ეთნიკური კონფლიქტები, ტერიტორიული დავები, ომი, ადამიანის უფლებების შელახვა _ ამ ყველაფრის გავლა მოუხდა სამხრეთ კავკასიის სამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან სახელმწიფოს. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ადამიანის უფლებების დაცვის საყოველთაოდ აღიარებული სართაშორისო პრინციპების და ნორმების საკითხი კვლავ დღის წესრიგშია, იქიდან გამომდინარე, რომ ყოველდღიურად ხდება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა. შესაბამისად კავკასიის რეგიონი არ წამოადგენს გამონაკლისს, სადაც ხშირია ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, გამომდინარე პოლიტიკური რეპრესიებიდან და არსებული შეიარაღებული კონფლიქტებიდან, რომელიც დღემდე მოუგვარებელია. თემის აქტუალობა გამოიხატება საერთაშორისო არენაზე მოთამაშე ძალების დიდი ინტერესებით რეგიონის მიმართ, არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვა რეგიონული კავშირებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების, ალიანსების ჩართულობით პრობლემების მოსაგვარებლად.

ამასთანავე, სახელმწიფოების სურვილი ღირსეული ადგილი დაიკავონ დემოკრატიული სახელმწიფოების რიგებში, ზრდის გარე აქტორების ატიურ მუშაობას, დაკვირვებას, დახმარებას როგორც სახელმწიფოებს შიგნით, ისე რეგიონში. საკვლევი საკითხისადმი დიდი ინტერესი მოულოდნელი არ არის მაშინ, როცა მსოფლიო ცხოვრობს გლობალიზირებულ ეპოქაში, სადაც ადამიანის სიცოცხლე, მისი უფლებები და ნებისმიერ ფასად დახმარება პრიორიტეტად განისაზღვრა. ამასთანავე, არაერთი დიდი სახელმწიფოს საგარეო ინტერესებში შედის დაეხმაროს სხვა ქვეყნებს გამოვიდნენ საბჭოური ბურუსიდან და შექმნან ნამდვილი დემოკრატია, სადაც ყოველი ინდივიდი დაცული იქნება პოლიტიკური რეპრესიებისგან, სტრუქტურული ჩაგვრისა თუ ომის შედეგად მიყენებული ტრამვებისგან. რა თქმა უნდა, კავკასიაში რეგიონული უსაფრთხოების და სტაბილურობის

დაცვის საკითხი სკმაოდ აქტუალურია არსებული საფრთხეების  და კონფლიქტების გათვალისწინებით.

## საკვლევი კითხვები

- რა ფაქტორები განაპირობებს პოლიტიკურ რეპრესიებს და შეიარაღებულ კონფლიქტების კავკასიის რეგიონში?
- პოლიტიკური რეპრესიებისა და შეიარაღებული კონფლიქტების პირობებში რამდენად სტაბილური და პროგნოზირებადი შეიძლება იყოს რეგიონში განვითარებული გეოპოლიტიკური პროცესები ?
- რამდენად გადაიქცა შეიარაღებული კონფლიქტები და პოლიტიკური რეპრესიები პოლიტიკურ ინსტრუმენტად ძირითადი აქტორების მიერ  თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად?
- რომელი ტენდენციები იკვეთება კავკასიის რეგიონში დემოკრატიის მოწყვლადობის პირობებისთვის, განსაკუთრებით არა-დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმების პირობებში?

## ჰიპოთეზა

ადამიანის უფლებათა დარღვევა, გლობალიზაციის პირობებში, გარდაიქმნა უნივერსალურ ღირებულებად და ამიტომაც მათი შებღალვა თუნდაც რეგიონულ დონეზე, ნებისმიერი აქტორის მხრიდან იწვევს საერთაშორისო საზოგადოების მყისიერ რეაგირებას. პოსტ-ბიპოლარულ პერიოდში აღნიშნული პრობლემა, რომელიც ძირითადად თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების პირობებში გამოიხატება პოლიტიკური რეპრესიების და შეიარაღებული კონფლიქტების სახით, სადაც უშუალოდ იბღალება

ადამიანის უფლებები, გახდა გეოპოლიტიკური დილემა დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნდამენტური შეცვლისათვის ავტორიტარული რეჟიმის დამყარების კუთხით, აგრეთვე იგი მნიშვნელოვანი გამოწვევაა რეგიონული უსაფრტხოებისა და სტაბილურობის ჭრილში.

## თემის მიზნები და ამოცანები

**მიზნები:**

- სამაგისტრო თემის მიზანია, დადგინდეს კავკასიის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე რა გავლენა აქვს პოლიტიკურ რეპრესიებს და შეიარაღებულ კონფლიქტებს
- გამოიკვეთოს პოლიტიკური რეპრესიების და შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად ადამიანის უფლებებიბის დარღვევის ფაქტები, მათი გამომწვევი მიზეზები და თავიდან აცილების გზები

**ამოცანები:**

- დადგინდეს  რა ფაქტორები ახდენენ გავლენას კავკასიის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე, როგორ შეიძლება მათი პრევენცია, ან უარყოფითი გავლენის შემცირება
- გაანალიზებულ იქნას, კავკასიის ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები ადამიანის უფლებების დარღვევის ჭრილში

## მეთოდოლოგიური ჩარჩო

●*სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორია*- სოციალური თეორია არის უფრო ზოგადი სახის თეორია სოციალური სამყაროს, სოციალური ქმედების  შესახებ და

სტრუქტურებსა და აქტორებს შორის ურთიერთობაზე. კონსტრუქტივიზმი არის როგორც სოციალური თეორია, ისე საერთაშორისო ურთიერთობების განსხვავებული არსებითი თეორია. კონსტრუქტივისტები ხაზს უსვამენ რეალურობის სოციალურ აგებულებას. ადამიანური ურთიერთობები, საერთაშორისო ურთიერთობების ჩათვლით, შედგება ნააზრევისა და იდეებისაგან, მაგრამ არა არსებითად მატერიალური პრიობებისა და ძალებისგან. ეს არის კონსტრუქტივიზმის ფილოსოფიურად იდეალისტური ელემენტი, რომელიც ეწინააღმდეგება სოციალურ მეცნიერების პოზიტივიზმის მეტ წილ მატერიალისტურ ფილოსოფიას. კონსტრუქტივისტული ფილოსოფიის თანახმად სოციალური მსოფლიო არ არის რაღაც მოცემულობა, ეს არის გარე რეალობა, რომლის კანონები შეიძლება აღმოჩენილ იქნას სამეცნიერო კვლევით და ახსნილ იქნას მეცნიერული თეორიით.

- ***ფარიდ ზაქარია „ არალიბერალური და ლიბერალური დემოკრატიის“ თეორია***- 1997 წელს, ამერიკულ გამოცემაში ,,Foreign Affairs'' დაიბეჭდა ფარიდ ზაქარიას სტატია, არალიბერალური დემოკრატიის შესახებ. თეორია ასევე ცნობილია, როგორც ნაწილობრივი დემოკრატია (partial democracy), ჰიბრიდული რეჟიმი (hybrid regime), ცარიელი დემოკრატია (empty democracy). თეორიის თანახმად, მსოფლიოს გარშემო არალიბერალური დემოკრატიის მაგალითები იზრდება, რომელიც მზარდად ზღუდავს ადამიანთა ფუნდამენტურ თავისუფლებებს. ავტორის მტკიცებით, დემოკრატია კონსტიტუციური ლიბერალიზმის გარეშე წარმოქმნის ცენტრალიზებულ რეჟიმებს, თავისუფლების ჩამოშლას, ეთნიკურ შეჯიბრებითობას, კონფლიქტებს და ომს.

- ***ადამიანის უფლებების დაცვის კონცეფცია***-ყველასთვის ცნობილი ფაქტია, რომ სამყაროში არსებობს საფრთხეები, რომლებიც ადამიანს ემუქრება. ისეთები,

როგორიცაა ბუნებრივი კატასტროფები, სიღარიბე და თანამედროვე მონობა. საფრთხეების თავიდან ასაცილებლად მსოფლიო მასშტაბით შექმნილია არაერთი კონვენცია ადამიანის დაცვის შესახებ:[1]

√ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია _ 1948 წელს გაერთიანებული ერების მიერ შექმნილი დეკლარაცია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველი პასუხი იყო გლობალურ დონეზე ადამიანის უფლებების დასაცავად.

√გენოციდის დანაშაულის პრევენციისა და დასჯის კონვენცია _ 1951 წელს შექმნილი კოვენციაა, რომელმაც სცადა გამოეცა გენოციდის დეფინიცია და დღეს 145-მა ქვეყანამ უკვე მოახდინა მისი რატიფიცირება.

√ჟენევის კონვენცია _ _შეიქმნა 1949 წელს. კონვენციის მიზანია დაუცველი ინდივიდების დაცვა.

√გადაუდებელი დახმარების მქონე და შეიარაღებულ კონფლიქტებში ქალების და ბავშვების დაცვის დეკლარაცია _ მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების მიერ 1974 წელს. დეკლარაცია მიზნად ისახავს სახელმწიფოების გააქტიურებას ძალადობის, დევნის, კოლექტური დანაშაულის აღმოფხვრის მხრივ.

- ***ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი*** - უკავშირდება სახელმწიფოების მიერ სუვერენიტეტის დაკარგვის ტენდენციას. ეროვნული უსაფრთხოების ჩიხი წარმოადგენს ქვეყანაში პოლიტიკური მართვის ისეთ მდგომარეობას, რომლის შედეგადაც ის მნიშშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელსაც

[1] International Human Rights Conventions
https://www.eda.admin.ch/eda/en/home/foreign-policy/international-law/un-human-rights-treaties.html.

ღებულობს ესა თუ ის სახელმწიფო , უფრო მეტად ზრდის საფრთხეებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. [2]

- ***გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია-*** გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია დაკავშირებულია გეოპოლიტიკის მეცნიერებასთან, რომელიც ასევე დაკვაშირებულია ძალთა ბალანსის თეორიულ ასპექტებთან. გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია არის ცნება, სადაც ორი სამეცნიერო მიმართულება ისახება: პირველი ეს არის საერთაშორისო ურთიერთობების რეალიზმის სკოლა და მეორე, გეოპოლიტიკური აზროვნების მნიშვნელოვანი მხარეები.გარდა ამისა, გეოსტრატეგიულ ბალანსს გააჩნია რამდენიმე დეფინიცია, რომელიც უკავშირდება მსოფლიო პროცესების უსაფრთხოების გაგებას. [3]

## კვლევის მეთოდები

კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება  თვისებრივი და შედარებითი კვლევის მეთოდი და ასევე კონტენტ ანალიზი. ნაშრომში ანალიზი გაუკეთდება კავკასიის რეგიონში პოლიტიკური რეპრესიებისა და შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად  ადამიანის უფლებების დარღვევას და მის გავლენას კავკასიაში სტაბილურობის და უსაფრთხოების კუთხით,  ასევე მიმოხილული იქნება კავკასიაში მიმდინარე ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები  ადამიანის

[2] ვ. მაისაია, გ. მაღრაძე- 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა-რეგიონალური და გლობალური ასპექტები. გამომც. „უნივერსალი“ 2017წ.  გვ.53

[3] ვ.მაისაია - შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. ქართულ-ევროპული ინსტიტუტი (პარიზი) კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (თბილისი)- პარიზი 2003 წ. გვ.71

უფლებების დარღვევის კუთხით და მასში საერთაშორისო საზოგადოების მონაწილეობა და გავლენა. შესწავლილ იქნება თუ რა პრობლემები და გამოწვევები არსებობს პოლიტიკური რეპრესიების და შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად კავკასიაში და მოხდება პოლიტიკური ლანდშაპტის ანალიზი და მიმოხილვა, რათა რეგიონული პოლიტიკის სფეციფიკის აღქმა შესაძლებელი გახდეს.

## ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

სამაგისტრო ნაშრომს აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, მისი ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოყენებიდან გაომდინარე, რაც ვლინდება პოლიტიკური რეპრესიების და შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად ადამიანის უფლებების დაცვის ან მისი ხელყოფის კუთხით. ნაშრომი მნიშვნელოვანი იქნება საკითხით დაინტერესებული პირებისათვის და სტუდენტებისთვის. ნაშრომში რეკომენდაციების სახით იქნება წარმოდგენილი იმ გამოწვევებზე ეფექტური რეაგირების გზები, რაც კავკასიაში უსაფრთხოებას და ადამიანის უფლებების დაცვას გააუმჯობესებს.

## კვლევის მოსალოდნელი შედეგები

კვლევის მოსალოდნელ შედეგად უნდა მივიჩნიოთ, იმ პრობლემების გამოვლენა რაც ვლინდება პოლიტიკური რეპრესიების და შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით კავკასიაში, ასევე მოხდება რეკომენდაციების შემუშავება თუ როგორ უნდა მოხდეს უსაფრთხოების ზომების გაძლიერება სადაც ადამიანის უფლებები იქნება სრულფასოვნად გათვალისწინებული.

## ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა

- **რ.კ.სმიტი „ადამიანის საერთაშორისო უფლებები“ გაეროს განვითარების პროგრამა, სახალხო დამცველის აპარატი, თბილისი, 2006.** ნაშრომში განხილულია ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო გამოცდილების მაგალითები. „ დღევანდელი მსოფლიოს პლურალისტული ბუნება, ადამიანის უფლებათა ძირითად მოთხოვნასთან ერთად (ყველა ერი სარგებლობდეს უფლებებით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე), ნიშნავს, რომ კულტურაში განსხვავებები არ უნდა იწვევდეს რაიმე სახის დისკრიმინაციას. კონსენსუსის მიღწევა უფლებათა მასშტაბისა და შინაარსის უფრო მეტი დეტალიზებით, შედეგად, თითქმის აუცილებლად იწვევს სხვადასხვა რელიგიებსა და კულტურულ ნორმებთან დაკავშირებულ სირთულეებს“.

- **ელდარ ისმაილოვის და ვლადიმერ პაპავას მონოგრაფიულ წიგნს: ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება, თბილისი,2012.** აღნიშნული მონოგრაფია ეძღვნება ცენტრალური ევრაზიის გეოპოლიტიკური პრობლემების გამოკვლევას. წიგნში ამ რეგიონისადმი პრინციპულად ახალი მიდგომაა შემოთავაზებული, რომელიც ფართოდ გავრცელებული იმპერიული დოქტრინებისაგან ძირეულად განსხვავდება. სამაგისტრო ნაშრომის თემატიკიდან გამომდინარე წიგნში წარმოდგენილი მასალა საინტერესო იქნება ძირითადი გეოპოლიტიკური პრობლემების ანალიზისთვის.

- **„ნდობა და მშვიდობის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში/ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC), ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი, თბილისი, 2015.**

  ნაშრომი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ნდობა და გარდამავალი სამართალი; სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები-ისტორია და დღევანდელობა; ადამიანის უფლებები, როგორც ნდობისა და მშვიდობის აღდგენის ელემენტები.

- **გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები კავკასიაში: ისტორია და თანამედროვეობა: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ბათუმი, 2016 წლის 18 მარტი.**

  აღნიშნულ პუბლიკაციაში გამოყენებულია უახლესი მასალები, რომელიც სამეცნიერო ანალიტიკური მეთოდოლოგიით არის დამუშვებული დარგის სპეციალისტების მხრიდან. საერთშორისო კონფერენციის თეორიული მასალები, რომელიც მიეძღვნა კავკასიურ პრობლემატიკას და პოლიტიკას. პუბლიკაციაში განხილულია კავკასიის კომფლიქტები, აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკა, ეთნიკური ჯგუფების ტრანსფორმაცია და სივრცის პოლიტიკა (კავკასიის მაგალითზე).

# პირველი თავი

## *ახალი პოლიტიკური გამოწვევები 21-ე საუკუნეში და მათი გავლენა საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაზე*

პირველ თავში  სამი ძირითადი საკითხი იქნება წარმოდგენილი, პირველ ქვეთავში მიმოვიხილავ საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიულ სკოლებში ადამიანის უფლებების ასახვას, დეტალურად იქნება განმარტებული ლიბერალიზმი, ნეოლიბერალიზმი და სოციალური კონსტრუქტივიზმი, განხილული იქნება ეს თეორიები ადამიანის უფლებების ჭრილში. რაც შეეხება მეორე ქვეთავს, წარმოდგენილი იქნება სამხედრო კონფლიქტების არსი და ტიპოლოგია თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოებაში, განვიხილავ რა სახის სამხედრო კონფლიქტები არსებობს და რა როლი აქვს სამხედრო კონფლიქტს საერთაშორისო უსაფრთხოებაში. ხოლო მესამე თავში განვიხილავ პოლიტიკურ რეპრესიებს და შეიარაღებულ კონფლიქტებს, სადაც უშუალოდ აქცენტი იქნება გამახვილებული ადამიანის უფლებების დარღვევაზე.

### 1.1. ადამიანის უფლებების ასახვა საერთაშორისო ურთიერთობების თეორიულ  სკოლებში (ლიბერალიზმი, ნეოლიბერალიზმი, სოციალური კონსტრუქტივიზმი)

ადამიანის უფლებები- ამ ტერმინს საწყისი ადრეული ელინისტური საბერძნეთიდან აქვს, ყოველშემთხვევაში ელემენტები აღინიშნებოდა მოაზროვნეთა ნაშრომებში, მოგვიანებით XVIII საუკუნეში ადამიანის უფლებების იდეა განავრცო ჯონ ლოკმა, ინგლისელმა ფილოსოფოსმა და მოაზროვნემ. ჯონ ლოკი ამბობდა, რომ ადამიანს ბუნებისგან ბოძებული უფლებები აქვს, ესენი იყო თავისუფლება, საკუთრების ქონა და სიცოცხლის უფლება. ეს ყველაფერი გახდა ფესვები

დღევანდელი თანამედროვე ლიბერალიზმისა რომელიც გვევლინება, ადამიანის უფლებებს და მის ინდივიდუალურობას აყენებდა სახელმწიფოებირობაზე მაღლა, რაც რათქმაუნდა კარგად არ წარმოდგება დღესაც და იმდროინდელ XVIII საუკუნის მსოფლიოსშიც. თუმცა არის ისეთი კონფიდენციალური საკითხები, სადაც სახელმწიფოს ავტორიტეტსა და ძალაუფლებას ვერანაირად ვერ გადაწონის 1 ინდივიდი (იგულისხმება ჩვეულებრივ რიგითი მოქალაქე).

ზოგიერთი მოაზროვნის აზრით, ადამიანის უფლებები, ეს ღვთისგან ბოძებული საჩუქარია და ისევ რელიგიას მიაწერენ ხოლმე მის წარმოშობას. თუმცა რეალობაში უფლებები შექმნილია ისევ ადამიანების მიერ, რათა ცხოვრების კალაპოტში ჩასვან საზოგადოების სიცოცხლე. ბავშვი რომ იბადება მას ეძლება უფლებები დაბადებიდან და ის იმ საზოგადოების ნაწილი ხდება. [4]

●**ლიბერალიზმი-** პოლიტიკური იდეოლოგიაა, რომელიც თავისუფლებისა და თანასწორობის იდეაზეა დაფუძნებული, ლიბერალიზმის იდეოლოგიის თანახმად სახელმწიფოს მამოძრავებელ ძალად ადამიანის თავისუფალი ნებდა და საზოგადოების თითოეული წევრის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა მიიჩნევა. ლიბერალიზმი აღიარებს და პატივს სცემს ადამიანის უფლებებს. ლიბერალური იდეოლოგიის თანახმად სახელმწიფო ნაკლებად უნდა ჩაერიოს ადამიანების ყოფაში და მხოლოდ ის სფეროები უნდა მართოს რომლის მოგვარებაც ადამიანებს არ შეუძლიათ. [5]

ლიბერალიზმი უფრო კომპლექსური თეორიაა ვიდრე რეალიზმი, ან ინსტიტუციონალიზმი. ამ თეორიის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ცალკეული ინდივიდუალური ქვეყნების ეროვნული თავისებურებანი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო ურთიერთობებში. ეს შეხედულება

---

[4]რ.კ.სმიტი „ადამიანის საერთაშორისო უფლებები“ გაეროს განვითარების პროგრამა, სახალხო დამცველის აპარატი, თბილისი, 2006. გვ.110

[5] პოლიტიკური იდეოლოგიები და რეჟიმები
https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-20

მკვეთრად ეწინააღმდეგება როგორც რეალისტურ, ისე ინსტიტუციონალისტურ მიდგომას, სადაც ყველა ქვეყანას აქვს არსებითად ერთიდაიგივე მიზნები და ქცევები (მინიმუმ, საერთაშორისო დონეზე) – ყავს თვითდაინტერესებული აქტორები, რომლებიც მიისწრაფვიან კეთილდღეობისა და გადარჩენისკენ. ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ლიბერალურ თეორიაში იყო ფენომენი, რომელიც ცნობილია დემოკრატიული მშვიდობის სახელით. პირველად იმანუელ კანტის მიერ შემოთავაზებული დემოკრატიული მშვიდობა აღწერს ლიბერალურ სახელმწიფოთა შორის ომის არარსებობას, რომელიც სახელდებულია, როგორც მომწიფებული ლიბერალური დემოკრატიები. მკვლევარებმა კანტის ამგვარი შემოთავაზება დაუქვემდებარეს საყოველთაო სტატისტიკურ ანალიზს და აღმოაჩენეს, რომ ასეც არის თუ მხედეველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ  მომიჯნავე შემთხვევებს, თუმცა ნაკლებად გასაგებია ამ ემპირიული ფაქტის უკან მდგარი თეორია. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორეტიკოსებს ჯერ კიდევ  შესაქმნელი აქვთ მყარი თეორია თუ რატომ არ ომობენ დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთთან. უფრო მეტიც, დემოკრატიული მშვიდობისკენ მიმავალი გზა შესაძლოა იყოს განსაკუთრებით სისხლიანი;

ლიბერალური თეორიები ხშირად გამოწვევაა საერთაშორისო ადვოკატებისთვის, რადაგან საერთაშორისო სამართალს აქვს რამდენიმე მექანიზმი რომ მხედველობაში მიიღოს შიდა უპირატესობათა ბუნება ან რეჟიმის სახეობა. ეს თეორიები არის ყველაზე გამოსადეგი, როგორც შთაგონების წყაროები ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების მოსაწყობად, როგორიცაა სასამართლოები, რომლებიც გამიზნულია საშინაო პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად ან შიდა ინსტიტუტებთან დასაკავშირებლად. საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს ურთიერთშევსებადობაზე დამყარებული იურისდიქცია არის ის შემთხვევა, რასაც ვგულისხმობთ;  კაცობრიობის წინაშე  ან ომში ჩადენილი დანაშაულებების კომისიის გაცნობა მთავრობის შიდა სტრუქტურის პირობებში – შემოწმებებისა და ბალანსის ტიპიური არარსებობა – შესაძლოა დაეხმაროს ადვოკატებს გაიგონ, რატომ

შეიძლება, რომ ურთიერთშევსებადობის იურისდიქციას ჰქონდეს უფრო დიდი ზეგავლენა შიდა სასამართლო სისტემაზე დიდი ხნის მანძილზე, ვიდრე პირველად იურისდიქციას.

ლიბერალიზმი, რომელსაც ასევე ეწოდება "ლიბერალური ინტერნაციონალიზმი", ეფუძნება შეხედულებას, რომ ამჟამინდელ გლობალურ სისტემას შეუძლია წარმოქმნას მშვიდობიანი მსოფლიო წესრიგი. იმის ნაცვლად, რომ დაეყრდნოს პირდაპირ ძალას, როგორიცაა სამხედრო მოქმედება, ლიბერალიზმი ხაზს უსვამს საერთაშორისო თანამშრომლობას როგორც ნებისმიერი ერის შესაბამისი ინტერესების გაფართოების საშუალებას. ლიბერალისტებს სჯერათ, რომ ძალის გამოყენების უარყოფითი შედეგები, როგორიცაა ეკონომიკური ზარალი და მოქალაქეების სიკვდილიანობა, ბევრად აღემატება მის პოტენციურ ბენეფიტებს. ამიტომ, ლიბერალური პოლიტიკოსები ძირითადად უპირატესობას ანიჭებენ ეკონომიკურ და სოციალურ ძალაუფლებას (მაგ., მეზობელი ქვეყნის თანხმობის მოპოვება, რათა დაეხმარონ მათ საზღვრის დაცვაში). დღევანდელ გლობალიზებულ საზოგადოებაში, ეკონომიკური ტაქტიკის გამოყენება, როგორიცაა ორმხრივი სავაჭრო შეთანხმებები და საერთაშორისო დიპლომატია – შეიძლება ეფექტურად იყოს გამოყებნებული უფრო პოლიტიკური ინტერესების, ვიდრე მუქარის ძალის ხელშესაწყობად.

**●კონსტრუქტივიზმი**

კონსტრუქტივიზმი არის ვარაუდების ერთობლიობა მსოფლიოსა და კაცობრიობის მოტივაციასა და წარმომადგენლობაზე. მისი შესატყვისი არ არის რეალიზმი, ინსტიტუციონალიზმი ან ლიბერალიზმი, არამედ – რაციონალიზმი. რაციონალისტური სტრუქტურის მოხმობით, რომელიც ამყარებს საერთაშორისო ურთიერთობათა ბევრ სხვა თეორიებს, კონსტრუქტივისტები ქმნიან კონსტრუქტივისტულ ალტერნატივებს აღნიშნულ თეორიათა თითოეულ ოჯახში.

კონსტრუქტივისტულ მიდგომაში, მკვლევართა ინტერესის ცვლადები, როგორიცაა სამხედრო ძალაუფლება, სავაჭრო ურთიერთობები, საერთაშორისო ინსტიტუტები, ან შიდა უპირატესობანი, არ არის მნიშვნელოვანი, არა იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ ობიექტურ ფაქტებს მსოფლიოს შესახებ, არამედ უფრო იმიტომ, რომ მათ აქვთ გარკვეული სოციალური მნიშვნელობები. ამგვარი მნიშვნელობა აგებულია ისტორიის, იდეების, ნორმებისა და რწმენის რთულ და სპეციფიურ შერწყმაზე.

ფოკუსს სოციალურ კონტექსტზე, რაშიც საერთაშორისო ურთიერთობები ვლინდება, კონსტრუქტივისტები მიყავს იქამდე, რომ გამოკვეთონ იდენტობისა და რწმენის საკითხები (ამ მიზეზით კონსტრუქტივისტული თეორიები ზოგჯერ იწოდება წარმოსახვითად ) . მეგობრებისა და მტრების აღქმა შიდა და გარე ჯგუფებში, სამართლიანობა და სამართალი და სხვა. ყველა ეს ელემენტი იქცევა სახელმწიფოს ქცევის მთავარ განმსაზღვრელად, მაშინ, როდესაც ზოგი კონსტრუქტივისტისთვის შესაძლოა მისაღებიცაა, რომ სახელმწიფოები არიან თვითდაინტერესებული, რაციონალური აქტორები, ისინი ხაზს უსვამენ, რომ განსხვავებული იდენტობა და რწმენა ცრუ შთაბეჭდილებას ახდენს რაციონალურობის არსსზე, რომლის გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფოები უბრალოდ ცდილობენ მიაღწიონ გადარჩენას, ძალაუფლებასა და სიმდიდრეს.

კონსტრქუტივიზმი ასევე საგულისხმოა საერთაშორისო პოლიტიკაში სოციალური ნორმების მიმართ, მარჩისა და ოლსენის მოსაზრებას თუ დავუჯერებთ, კონსტრუქტივისტები ერთმანეთისგან განასხვავებენ “შედეგების ლოგიკას”, სადაც ქმედებები არის რაციონალურად შერჩეული საერთაშორისო ურთიერთობების პრინციპული/ძირეული თეორიების ინტერესების მაქსიმიზაციის მიზნით და “შესაბამისობის ლოგიკას”, სადაც რაციონალურობა სოციალური ნორმების ძლიერ ზეგავლენას ექვემდებარება. მაგალითად, კონსტრუქტივისტები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტის ნორმამ საკმაო ზეგავლენა მოახდინა საერთაშორისო ურთიერთობებზე, შექმნა არჩარევის წინასწარი განწყობა,

რომელიც წინ უსწრებს სახელმწიფოს მიერ ჩასატარებელი ხარჯებისა და სარგებლიანობის ნებისმიერ ანალიზს. ამგვარი არგუმენტები ესადაგება საერთაშორისო თანამშრომლობის განმარტების ინსტიტუციონალისტურ რუბრიკას, მაგრამ უფრო კონსტრუირებულ მიდგომებზე დაყრდნობით. [6]

ალბათ რწმენისა და იდეოლოგიის მიმართ მათი ინტერესის გამო, კონსტრუქტივიზმმა ასევე განსაკუთრებით აღნიშნა სახელმწიფო აქტორების როლი, ვიდრე სხვა მეთოდები. მაგალითად, მკვლევარებმა გამოკვეთეს ტრანსნაციონალური აქტორების როლი სახელმწიფო შეხედულებათა ჩასანაცვლებლად ისეთ საკითხებში, რომლებიც ეხება მიწის შახტების გამოყენებას ომსა ან საერთაშორისო ვაჭრობაში. ამგვარ "ნორმირებულ მეწარმეებს" შესწევთ ძალა ზეგავლენა მოახდინონ სახელმწიფოს ქცევაზე რიტორიკითა ან სხვა ლობირების ფორმებით. კონსტრუქტივისტებმა ასევე აღნიშნეს საერთაშორისო ინსტიტუტების როლი, როგორც საკუთარი უფლების მქონე ინსტიტუტები, მაშინ როცა კონსტრუქტივიზმი აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ბიუროკრატიებს შეუძლიათ ეძიონ საკუთარი ინტერესების დაცვის გზები (მაგ. თავისუფალი ვაჭრობა ან ადამიანის უფლებების დაცვა). თუნდაც იმ სახელმწიფოთა ნების წინააღმდეგ, რომელმაც იგი შექმნა .[7]

კონსტრუქტივიზმი ეფუძნება უფრო ცნებას, ვიდრე მატერიალური ინტერესებისთვის პირდაპირ ლტოლვას, ეს არის ერის შეხედულების სისტემები – ისტორიული, კულტურული და სოციალური – რომლებიც განსაზღვრავს მის საგარეო პოლიტიკის სფეროში გამოყენებულ ძალისხმევებსა და ქცევებს.

---

[6] Introducing Liberalism in International Relations Theory ; JEFFREY W. MEISER, FEB 18 2018

https://www.e-ir.info/2018/02/18/introducing-liberalism-in-international-relations-theory/

[7] INTERNATIONAL RELATIONS, PRINCIPAL THEORIES
**International Relations, Principal Theories**
*Anne-Marie Slaughter- page: 19*
https://www.princeton.edu/~slaughtr/Articles/722_IntlRelPrincipalTheories_Slaughter_20110509zG.pdf?fbclid=IwAR1-50VktIPM9DcYdnAsPVDC-lQ9W-3czjhFK5HUjpoiFyNP1wwAm2G1Nmg

კონსტრუქტივისტები ასევე ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოები არ წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან აქტორებს საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ ამგვარი საერთაშორისო ინსტიტუტები და სხვა არა-სახელმწიფო აქტორები შეუფასებელი არიან სახელმწიფოთა ქცევაზე ზეგავლენის მოხდენის თვალსაზრისით, ლობირებითა და დარწმუნების აქტივობათა მეშვეობით. ამ მიზნით, კონსტრუქტივიზმი გახდა პოპულარული და მნიშვნელოვანი თეორია უკანასკნელ ათწლეულებში, რამდენადაც არასახელმწიფო აქტორებმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, მოიპოვეს პოლიტიკური გავლენა. საერთაშორისო ორგანიზაციები დიდ როლს თამაშობს ადამიანის უფლებების პოპულარიზაციაში და მათგან ქმნიან საერთაშორისო სტანდარტს, რასთან შესაბამისობაში მოსვლასაც ელიან ქვეყნებისგან.[8]

●**სოციალური კონსტრუქტივიზმი** აქცენტირებულია ადამიანის ცნობიერებასა და შეგნებაზე და მის დანიშნულებაზე მსოფლიო საქმეებში. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის მეტი წილი, განსაკუთრებით ნეორეალიზმი, მატერიალისტურია; ის ფოკუსირებულია მასზე, თუ როგორ განსაზღვრავს მატერიალური ფასეულობა, როგორიცაა სამხედრო ძალები და ეკონომიკური შესაძლებლობები, ძალაუფლების ბალანსს სახელმწიფოთა შორის და სახელმწიფოების ქცევებს. კონსტრუქტივისტები გმობენ ამგვარ ცალ-მხრივ მატერიალისტურ აქცენტს. უფრო შორს თუ წავალთ, ისინი კამათობენ, რომ ეს სოციალური რეალობა არ არის ობიექტური ან გარეგანი საერთაშორისო საქმეების დამკვირვებლისთვის. სოციალური და პოლიტიკური სამყარო, საერთაშორისო ურთიერთობების სამყაროს ჩათვლით, არ გახლავთ ფიზიკური პირი ან მატერიალური საგანი, რომელიც იმყოფება ადამიანური შეგნების მიღმა. შესაბამისად, საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლა უნდა კონცენტრირდეს იდეებსა და შეხედულებებზე, რომლებიც აქტორების ინფორმირებას ახდენენ

[8]Key theorys of International Relations
https://online.norwich.edu/academic-programs/resources/key-theories-of-international-relations

საერთაშორისო ასპარეზზე და მათი ერთმანეთში ურთიერთგაგების არსებობის მიზნით. საერთაშორისო სისტემა  არ არსებობს დამოუკიდებლად, ის არსებობს, როგორც ხალხთა შორის არსებული ურთიერთთემატური ცნობიერება; ამ გაგებით, ეს სისტემა შედგება იდეებისგან, და არა - მატერიალური ძალებისგან. ეს კაცობრიობის გამოგონება ან ქმნილებაა, არამატერიალური და არაფიზიკური სახის, არამედ სუფთა ინტელექტუალური ანდა აზროვნებითი ხასიათის. ის წარმოადგენს იდეების ერთობლიობას, ფიქრის კორპუსს, ნორმების სისტემას, რომელიც მოწყობილია ზოგიერთების მიერ გარკვეულ დროსა და ადგილზე. თუ ფიქრები და იდეები, რომელსაც მოიცავს საერთაშორისო ურთიერთობები შეიცვლება, მაშინ, თავად სისტემაც ასევე შეიცვლება, რადგან სისტემა შედგება აზრებისა და იდეებისგან.

**●კონსტრუქტივიზმი როგორც სოციალური თეორია**

სოციალური თეორია არის უფრო ზოგადი სახის თეორია სოციალური სამყაროს, სოციალური ქმედების  შესახებ და სტრუქტურებსა და აქტორებს შორის ურთიერთობაზე. არსებითი საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობათა ზოგიერთი ასპექტის შესახებ თეორიას. კონსტრუქტივიზმი არის როგორც სოციალური თეორია, ისე საერთაშორისო ურთიერთობების განსხვავებული არსებითი  თეორიები..

სოციალურ თეორიაში, კონსტრუქტივისტები ხაზს უსვამენ რეალურობის სოციალურ აგებულებას. ადამიანური ურთიერთობები, საერთაშორისო ურთიერთობების ჩათვლით, შედგება ნააზრევისა და იდეებისაგან, მაგრამ არა არსებითად მატერიალური პრიობებისა და ძალებისგან. ეს არის კონსტრუქტივიზმის ფილოსოფიურად იდეალისტური ელემენტი, რომელიც ეწინააღმდეგება სოციალურ მეცნიერების  პოზიტივიზმის მეტ წილ მატერიალისტურ ფილოსოფიას. კონსტრუქტივისტული ფილოსოფიის თანახმად სოციალური მსოფლიო არ არის რაღაც მოცემულობა, ეს არის გარე რეალობა,

რომლის კანონები შეიძლება აღმოჩენილ იქნას სამეცნიერო კვლევით და ახსნილ იქნას მეცნიერული თეორიით, როგორც ამას ამტკიცებენ პოზიტივისტები და ბიჰევიორალისტები. სოციალური და პოლიტიკური მსოფლიო არ არის ბუნების ნაწილი, მასში არ არის საზოგადოების, ეკონომიკისა და პოლიტიკის ბუნებრივი კანონები. ისტორია არ არის აღმოცენებადი გარე პროცესი, რომელიც განცალკევებით დგას ადამიანის ფიქრებისა და იდეებისგან. ეს ნიშნავს, რომ ისტორიის სოციოლოგიური, ეკონომიკური ან პოლიტიკური მეცნიერება ან მოძღვრება არ შეიძლება წარმოადგენდეს ობიექტურ 'მეცნიერებებს' ამ სიტყვის მკაცრი პოზიტივისუტური გაგებით. სოციალური სამყარო არის ადამიანური ცნობიერების (მათი ფიქრების, შეხედულებების, იდეების, კონცეპტების, ენებისა და დიალოგების, ნიშნების, კაცთა შორის ურთიერთგაგების, განსაკუთრებით ადამიანების ჯგუფებს, ერებსა და სახელმწიფოებს შორის და სხვ.) სამყარო. სოციალური სამყარო არის ურთიერთსაგნობრივი სფერო, იგი მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც ის შექმნეს და მასში ცხოვრობენ.

სოციალური სამყარო არის ნაწილობრივ ფიზიკური პირების მიერ კონსტრუირებული, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის იდეები და შეხედულებები, რომელიც ეხება ამ პირებს და რომლებსაც ეს პირები აღბეჭდავენ ხალხის გონებაში. მაგალითად, უსაფრთხოებისა და თავდაცვის საერთაშორისო სისტემა, შედგება ტერიტორიებისგან, იარაღისგან და სხვა ფიზიკური აქტივებისგან, მაგრამ ამ აქტივების ორგანიზება და გამოყენება ხდება გააზრებისა და შეგნების შედეგად, რაც მეტად მნიშვნელოვანია. თუ ხაზს გავუსვამდით კონტრასტს ნეორეალისტებისა და ნეოლიბერალების მიერ გამოთქმულ მატერიალისტურ მოსაზრებასა და კონსტრუქტივისტების მიერ გამოთქმულ აზროვნებით მოსაზრებას შორის, უფრო დაგვეხმარებოდა საკითხის აღქმაში. მატერიალისტური მოსაზრების თანახმად, ძალაუფლება და ეროვნული ინტერესი ითვლება მამოძრავებელ ძალებად საერთაშორისო პოლიტიკაში. ძალაუფლება არის საკუთრივ სამხედრო შესაძლებლობად, რომელიც გამყარებულია ეკონომიკური და სხვა რესურსებით.

ეროვნული ინტერესი არის სახელმწიფოების თვითგანხილული წყურვილი ძალაუფლების, უსაფრთხოებისა და სიმდიდრისთვის. ძალაუფლება და ინეტერესი განიხილება, როგორც მატერიალური ფაქტორები; ამ მოსაზრებით, იდეები ნაკლებად მნიშვნელოვანია, ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მატერიალური ინტერესით ნაკარნახევი ქმედებების რაციონალიზაციისთვის. კონსტრუქტივისტების აზროვნებითი თვალსაზრისის მიხედვით კი, იდეები ყოველთვის მნიშვნელოვანია. „საწყისი წანამძღვრებაა, რომ მატერიალური სამყარო არის განუსაზღვრელი და მისი განმარტება ხდება მნიშვნელობის უფრო ფართო კონტექსტში. ამრიგად, იდეები განსაზღვრავენ მატერიალური ძალაუფლების მნიშვნელობას.“ [9]

ძირითადი აზროვნებითი ელემენტი კონსტრუქტივისტების მიხედვით არის ადამიანთა ურთიერთსაგნობრივი შეხედულებები, ცნებები, მოსაზრებები, რომლებიც ფართოდ არის გაზიარებული ხალხის მიერ. იდეები ფართოდ უნდა იყოს გაზიარებული და საზოგადოების მიერ აღქმული, რომ მას ჰქონდეს დანიშნულება, ამასთან, ეს იდეების მატარებლები უნდა იყვნენ სხვადასხვა ჯგუფები, პოლიტიკოსები, სოციალური ჯგუფები თუ სოციუმი. კონსტრუქტივიზმი საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ემპირიული მიდგომაა იმდენად, რამდენადაც ის კონცენტრირებულია ურთიერთსაგნობრივ იდეებზე, რომელიც განსაზღვარავენ საერთაშორისო ურთიერთობებს. თეორიას გააჩნია განსახვავებული კვლევითი ინტრესები და მიდგომები. თუ სოციალური და პოლიტიკური სამყარო საძირკველშივე შედგება საერთო შეხედულებებისგან, როგორი ზეგავლენა ექნება ამას იმ მიდგომებზე, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენებსა და ეპიზოდებში? როგორც წესი, კონსტრუქტივისტები არ ეთანხმებიან პოზიტივისტების მექანიკურ მიზეზ-შედეგობრივ ცნებებს. ეს იმიტომ, რომ პოზიტივისტები არ ეძიებენ მოვლენებისა და ეპიზოდების ურთიერთსაგნობრივ შინაარსს.

[9] Tannenwald 2005: 19

კონსტრუქტივისტები ზოგადად ეთანხმებიან მაქს ვებერ-ს იმაში, რომ ესაჭიროებათ ინტერპრეტაციული აღქმა, რათა მოახდინონ სოციალური ქმედების ანალიზი. ერთის მხრივ, კონსტრუქტივისტები არ ეთანხმებიან ობიქტური სიმართლის ცნებას; სოციალურ მეცნიერებათა მკვლევარებს არ შეუძლიათ დაადგინონ 'საბოლოო სიმართლე' იმ სამყაროს შესახებ, რომელიც მართალია დროსა და ადგილზე. მეორეს მხრივ, კონსტუქტივისტები ნამდვილად ამტკიცებენ სიმართლეს იმ თემების შესახებ, რომლებიც მათ გამოიკვლიეს.

**●ნეოლიბერალიზმი**

ნეოლიბერალიზმი როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, კლასიკური ლიბერალიზმისგან განსხვავებით ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებას არ აღიარებს. მისთვის თავისუფალი ბაზარი და განუსაზღვრელი კონკურენცია წარმოადგენს სოციალური სამართლიანობის და პროგრესის უზრონველყოფის ძირითად საშუალებას, რაც თავის მხრივ შესაძლებელია ეკონომიკური ზრდით და მთლიანი შიდა პროდუქტით. იგი ჩამოყალიბდა სოციალური ლიბერალიზმის ოპოზიციის სახით და გულისხმობდა სოციალურ თანამშრომლობას სახელმწიფო რეგულირებასთან და სოციალურ პროგრამებთან.

ნეოლიბერალიზმი თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული მიმდინარეობაა სხვა იდეოლოგიებთან შედარებით, ნეოლიბერალური იდეოლოგია წარმოადგენს ახალ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და იდეურ სისტემას. ნეოლიბერალური პოლიტიკის მთავარი პრონციპებია თავისუფალი ვაჭრობა და თავისუფალი მარკეტი, რომლის მთავარი მხარდამჭერია საერთაშორისო სავაჭრო პალატა პარიზში. [10]

[10] ჰენრი კუპრაშვილი- „ძირითადი პოლიტიკური მიმდინარეობები თანამედროვე ევროპაში“ , ლექციების კურსი , „ ტექნიკური უნივერსიტეტი“ გვ.74

## 1.2. სამხედრო კონფლიქტების არსი და ტიპოლოგია თანამედროვე საერთაშორისო უსაფრთხოებაში

სამხედრო კონფლიქტი - წარმოადგენს სახელმწიფოთაშორის ან შიდასახელმწიფოებრივი წინააღმდეგობების გადაწყვეტას სამხედრო ძალადობის გზით. როგორც ცნება, სამხედრო კონფლიქტი მოიცავს მიმდინარე შეიარაღებული ბრძოლის ყველა სახეობას, რომელიც განპირობებულია სოციალურ-პოლიტიკური მიზნით, მათ შორისა: მსოფლიო, რეგიონალური, ლოკალური ომები და შეიარაღებული კონფლიქტები.

სამხედრო კონფლიქტების ტიპოლოგიის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი სახე: პირველი ეს არის შეზღუდული სამხედრო კონფლიქტები, მეორე- ლოკალური ომი და მესამე-ლიმიტირებული ომი. [11]

სახელმწიფოები თითქმის ყოველთვის იყენებენ ძალადობას შეიარაღებული გამოწვევის საპასუხოდ, რათა მოახდინონ გავლენა ოპონენტის სიცოცხლისუნარიანობაზე. ძალადობას, რომელიც მიმართულია მხოლოდ ინდივიდუალური მეამბოხეების მიმართ, ან მათი პირდაპირი მხარდამჭერების მიმართ (რაც გულისხმობს, შერჩევით ძალადობას) სავარაუდოა, რომ ექნება შემაკავებელი ეფექტი. შერჩევითი ძალადობა აქტიურდება კოლექტიურ ძალადობასთან ერთად (ხშირად უწოდებენ განურჩეველ ძალადობას), რომელიც მიზნად ისახავს ადამიანების ჯგუფებს ეთნიკურობისა და ადგილის მიხედვით. კოლექტიური სამიზნეები აუცილებლად კლავენ მშვიდობიან მოსახლეობას.

[11] ვ.მაისაია - შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. ქართულ-ევროპული ინსტიტუტი (პარიზი) კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (თბილისი)- პარიზი 2003 წ. გვ.107

კოლექტიური სამიზნე, სავარაუდოდ, მხარს არ დაუჭერს ხელისუფლებას, რადგან სამოქალაქო პირები და პოტენციური მეამბოხეები მოტივირებულნი არიან შეუერთდნენ ან მხარი დაუჭირონ აჯანყებულებს.[12]

ვინაიდან კოლექტიური ძალადობა არსებობს სულ მცირე უარყოფითი რეაქციის გარკვეულ რისკთან ერთად ხელისუფლების წინააღმეგ და შერჩევითი ძალადობა  სავარაუდოდ უკავშირდება ამგვარ მცირე ან არარსებულ რისკებს, სავარაუდოა, რომ სახელმწიფოებს ურჩევიათ შერჩევითი  ძალადობა ვიდრე კოლექტიური. თუმცა,  კოლექტიური ძალადობა ხორციელდება გარკვეულწილად ხშირად და შერჩევითი ძალადობა შედარებით იშვიათია. აღნიშნულის მთავარი მიზეზი ისაა, რომ შერჩევითი სამიზნე ჯგუფის განსაზღვრა ძალიან რთულია. შერჩევითი განსაზღვრა, რომელიც დადებითი სამხედრო კონფლიქტის ციკლის გადამწყვეტი ნაწილია, მოითხოვს უნარს, ერთმანეთისგან განასხვაო სხვადასხვა ტიპის მეამბოხეები და აგრეთვე მოთხოვს საკითხში უფრო ღრმად შესვლას.

მეოამბოხეობის განხილვა კოლექტიური ტერმინების თვალსაზრისით აგრეთვე მნიშვნელოვანია, ის კვლავ ასოცირდება საწინააღმდეგო ეფექტთან, რადგან მიზნად ისახავს იმ დემოგრაფიული ჯგუფებს, რომლებიც დადებითად შეიძლება განწყობილიყვნენ ამბოხებულებისადმი და ამბოხებულები ძალას ატანენ მათ, რომ იყვნენ დადებითად განწყობილები მათ მიმართ. აღსანიშნავია, რომ მიზეზი, რატომაც სახელმწიფოებს არ შეუძლიათ  ეფექტურად შერჩევა არ მდგომარეობს იმაში, რომ მათ აქვთ საცეცხლე თუ საომარი საშუალებების ნაკლებობა, მიზეზი მდგომარეობს სადაზვევრვო ინფორმაციის ნაკლებობაში.

აგენტებს, რომლებიც ქმნიან  იძულებით შესაძლებლობებს (როგორიცაა ეროვნული სამხედროები) ხშირად არ გააჩნიათ წვდომა შესაბამის ადგილობრივ ინფორმაციაზე, რათა მოახდინონ ინდივიდუალური მეამბოხეების

---

[12] Chapter 4: Types of armed conflict ;

International Armed Conflict

https://legalanswers.sl.nsw.gov.au/hot-topics-80-international-humanitarian-law/types-armed-conflict

იდენტიფიცირება, რის შედეგადაც ხშირად ადგილი აქვს კონტრპროდუქტიულ შედეგს. რა თქმა უნდა, მათ გააჩნიათ მძიმე საარტილერიო ძალები, ტანკები, თვითმფრინავები და ბომბები, გარე საფრთხეებთან საბრძლოლველად, ვინაიდან შიდა ომები ფუნდამენტურად განსხვავდება საერთაშორისო ომებისგან.

სახელმწიფო რეპრესიების შედეგებისა და მიზეზების თეორია აყალიბებს გარკვეულ თეორიულ მოლოდინებს. უპირველეს ყოვლისა, ის ქმნის რაციონალური რეკრუტირების პრობლემის რაციონალისტურ საფუძვლებს. ამ თვალსაზრისით მე გამოვყოფ სამხედრო დაპირისპირების ორ ციკლს: 1) კოლექტიური სამიზნეების ნეგატიური ციკლი და საწინააღმდეგო ეფექტი და 2) შერჩევითი სამიზნეების დადებითი ციკლი და შემაკავებელი ეფექტი.[13]

## 1.3. პოლიტიკური რეპრესიები და შეიარაღებული კონფლიქტები (ადამიანის უფლებების დარღვევის ჭრილში )

სამხრეთ კავკასიის არსებობის მანძილზე რეგიონში განვითარებული პოლიტიკური, ეკონომიკური, ეთნიკური, იდეოლოგიური და ა.შ კონფლიქტები წარმოადგენდა ურთულეს პრობლემას, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ რეგიონში განვითარებული ყველა კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობას იღებდა კრემლი. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები მოიაზრება, როგორც რეგიონის უსაფრთხოების, სტაბილურობისა და რეგიონალური თანამშრომლობის ხელისშემშლელი ფაქტორი.

„ცივი ომის“ შემდგომ პერიოდში სამხრეთ კავკასია გლობალური და რეგიონული მასშტაბით იქცა ზესახელმწიფოების მეტოქეობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტერიტორიად, აღნიშნული მეტოქეობა განპირობებული იყო რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობით და ასვე ენერგორესურსების დიდი

[13] Trends and Causes of Armed Conflict1 Dan Smith , page 3

https://www.berghof-foundation.org/fileadmin/redaktion/Publications/Handbook/Articles/smith_handbook.pdf

მარაგით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არასტაბილური პოლიტიკური ვითარების წარმოშობამ არაერთი პრობლემა გამოიწვია. პრობლემები და სირთულეები შეექმნათ როგორც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფო ლიდერებს, ისე რეგიონში მცოხვრებ მოსახლეობას და ასევე უცხოელ ინვესტორებს.

გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით, სამხრეთ კავკასია მდეობარეობს იმ სავაჭრო გზაზე, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებდა ევროპას და აზიას, გრადა ამისა, რეგიონში თავმოყრილია კავკასიური, სპარსული, სლავური და თურქული კულტურები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამხრეთ კავკასია ხელსაყრელია სხვადასხვა მსხვილმასშტაბიანი პროექტებისთვის. სამხრეთ კავკასია ყოველთვის წარმოადგენდა ისეთ რეგიონს, „სადაც ერთმანეთს ეჯახებოდა სხვადასხვა იმპერიების ინტერესები“.

**რეპრესიები და ადამიანის უფლებები**

უპირველეს ყოვლისა, კოლექტიური ქმედების პრობლემა კარგად არის ფორმულირებული მეამბოხის დილემის მიმართ; მეორე, ემპირიული ურთიერთობა დემონსტრირებულია დისიდენტსა და სამთავრობო ქცევას შორის; და მესამე, ვინაიდან სტრატეგიული მოდელების გამოცდა ეფუძნება შემუშავებულ რეპრესიის მონაცემებს, მკვლევარებმა უნდა იფიქრონ იმაზე, რომ ეს მონაცემები ასახავს მოსალოდნელ ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია აქტორებისთვის. ძირითადად, რეპრესიების შესწავლა განსაზღვრულია როგორც "მოქალაქეთა პოლიტიკურ და სამოქალაქო თავისუფლებებზე მთავრობების მიერ დაწესებული შეზღუდვები" [14], რომელიც კონცენტრირებულია ხელისუფლების ქცევაზე დაარეგულიროს საქმიანობა მისი იურისდიქციის ტერიტორიის ფარგლებში.

რეპრესიების კონცეპტუალიზაცია, როგორც სტრატეგიული არჩევანი, გულისხმობს იმას, რომ ელიტური ფენები ითვლიან იმის ალბათობას, რომ

[14] დავენპორტი, 1999: 92

მოქალაქეები მოახდენენ რეპრესიების იდენტიფიცირებას და  მიიღებენ ზომებს მათი თავიდან აცილების მიზნით.  ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ რეპრესიულ საზოგადოებაში, შეუძლიათ აღიქვან  მთავრობის ქმედებები, როგორც რეპრესია. თუმცა, ეს ფუნდამენტური დაშვება ჯერ უნდა დამოწმდეს ემპირიულად.  რაც უფრო მეტია აზრთა სხვადასხვაობა, უფრო მეტია სახელმწიფოს ხარჯები და რაც უფრო მეტი საფრთხეა სახელმწიფოსთვის, სავარაუდოა რომ უფრო ძალადობრივი იქნება მისი რეაგირება. ლიჩბახი ამტკიცებს, რომ არსებობს მოსახლეობის 5%-იანი მონაწილეობის ზღვარი, აღნიშნული ნიშნულის ქვევით და ზევით სახელმწიფო ექვემდებარება რევოლუციას. მიუხედავად იმისა, რომ არ არის ემპირიულად დამოწმებული, მოსახლეობის 5% ასახავს იმ ადამიანების მნიშვნელოვან რაოდენობას, რომლებსაც სავარაუდოდ ესმით სახელმწიფო საქციელის დინამიკა და ამ ინფორმაციის თანახმად, ისინი ირჩევენ  ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობაში მონაწილეობას.

მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიული მოდელები თვლიან, რომ ზოგადად საზოგადოებამ იცის რეპრესიული სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლები, რამდენადაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, არავის არ ქონია მცდელობა დააკვირდეს იმას, თუ რამდენად არის საზოგადოებისთვის ცნობილი მთავრობის მიერ ჩადენილი დარღვევების შესახებ.  რა თქმა უნდა, მათ, ვინც რეპრესიული პოლიტიკის სამიზნეა, ექნებათ სრული ცოდნა რეპრესიების მეთოდებისა და მოცულობის შესახებ. ამრიგად, ზოგიერთი შეიძლება ამტკიცებდეს, რომ მხოლოდ რეპრესიისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი აქცევენ ყურადღებას  ადამიანის უფლებათა მდგომარეობას, მაგრამ საშუალო ადამიანები ასე არ იქცევიან.  რევოლუციები მოითხოვს უფრო მეტს ვიდრე რისკზე წამსვლელი აქტივისტების მცირე ჯგუფია. ჩემი აზრით, დისიდენტების ქმედებები და ქვეყნის საშუალო მოქალაქეების აღქმა ქვეყანაში ადამიანის უფლებების კუთხით, არის კრიტიკულად მნიშვნოლოვანი ფაქტორები რეჟიმის მიმართ არსებულ გამოწვევებში. ხელისუფლების შეცვლა, განსაკუთრებით არადემოკრატიული ხელისუფლების,  მოითხოვს მოსახლეობის

მნიშვნელოვანი ნაწილის მობილიზებას. ხალხის აღქმა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ ისინი ხელს უწყობენ კონტექსტს, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს მეამბოხეობა. უფრო მეტიც, ისინი მნიშვნელოვანნი არიან, რადგან დისიდენტები და მომიტინგეები საიდანღაც უნდა მოვიდნენ; ანუ ისინი მობილიზებულნი არიან მთავრობის პოლიტიკისა და დარღვევების გამო. მასობრივი პოლიტიკური ქცევის მოდელები, ასევე, ხშირად ვარაუდობენ, რომ საზოგადოებას აქვს ინფორმაცია ობიექტური პირობების შესახებ, რადგან ისინი არსებობენ საზოგადოებაში.

თანამედროვე ქვეყნები საოცრად არაკომპეტენტურნი არიან შიდა გამოწვევებთან ბრძოლაში, როგორიცაა მათი სუვერენულობა ან ტერიტორიული მთლიანობა. ყოველი ოთხი შიდა კონფლიქტიდან სამ კონფლიქტში, მეამბოხეებმა შეძლეს და ქვეყნები დაამარცხეს სრულად. ვინაიდან სახელმწიფოს პირველადი ფუნქცია არის პოლიტიკური წესრიგის უზრუნველყოფა ძალადობრივი მონოპოლიის დამყარების გზით, ეს არის საკმაოდ დამაბნეველი დაკვირვება. უცნობია, თუ რატომ ვერ ახერხებენ ქვეყნები ხშირ შემთხვევაში, აღკვეთონ შიდა გამოწვევები, ამბოხებული მხარე ხომ ყოველთვის სუსტია სახელმწიფოსთან შედარებით. ისინი უმეტეს შემთხვევაში არიან არათანმიმდევრული ორგანიზაციები, რომლებსაც გამარჯვების შემთხვევაში არ ექნებოდათ მმართველობის უნარი. ბევრ ასეთ ორგანიზაციას აკლია თანმიმდევრული იდეოლოგიური საფუძველი და შეიძლება გახდნენ კრიმინალური ორგანიზაციები. ისინი, რომლებსაც აქვთ თანმიმდევრული იდეოლოგიური საფუძვლები, განიცდიან საპირისპირო პრობლემას, არიან ძალიან მკაცრები, ხისტები და უდრეკები. სახელმწიფოების უნარის ნაკლებობა, აღკვეთონ მეამბოხეთა ნაკადის ქმედებები, კიდევ უფრო დამაბნეველია, როდესაც განიხილება კოლექტიური ქმედების პრობლება.

სახელმწიფოები არაეფექტურნი არიან შიდა სამხედრო კონფლიქტებში მხარეთა სტატუსების აღდგენის გამო, რადგან ისინი ვერ ახერხებენ შიდა შეიარაღებულ გამოწვევებზე ეფექტურად რეაგირებას, მაგრამ ეს არ არის

იძულებითი ხასიათის ღონისძიებების ნაკლებობა. სახელმწიფო ჯარისკაცებს აქვთ უკეთესი წვდომა ტანკებსა და ბომბებზე, ასევე მძიმე საარტილერიო ტექნიკაზე, საჰაერო და საზღვაო ძალებზე. ამის ნაცვლად, თანამედროვე სახელმწიფოებს არ შეუძლიათ უზრუნველყონ შიდა გამოწვევების ეფექტური შეკავების მექანიზმები. მეამბოხეებს ზოგადად არ აცვიათ ფორმა და ძნელია მათი გამოყოფა საერთო მოსახლეობისგან. ვინაიდან სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ინდივიდუალური მეამბოხეების იდენტიფიცირება, ისინი ხშირად ეყრდონიბან ინფორმაციას ისეთი ადამიანების შესახებ, რომლებიც ჰგვანან მეამბოხეებს (მაგ., იგივე სქესის, ასაკისა და ეთნიკური წარმოშობის). მაგრამ კოლექტიური ძალადობა არის კონტრპროდუქტიული და ხშირად, თუმცა არა ყოველთვის, უკავშირდება ხელისუფლებასთან საწინააღმდეგო ქმედებებს, რაც რეალურად გააძლიერებს ამბოხებულობას და მთავრობას უფრო უარეს პოზიციაში ჩააყენებს.

მკვლევარები დიდი ხანია ამტკიცებდნენ, რომ ძალადობა არის სტრატეგიული რაციონალური გადაწყვეტილება უფრო ფართო მიზნების მისაღწევად, მაგრამ რაციონალისტური მოლოდინი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი აქტორი არის თეორიზებული და რომლის ანალიზიც ხდება. პოტენციური ან ახლად შექმნილი მეამბოხე ჯგუფები უპირისპირდებიან მნიშვნელოვან კოლექტიური ქმედების პრობლემას, როდესაც ცდილობენ აჯანყების საკმარისი ძალების მობილიზებას. პოლიტიკური მეწარმე ან მომავალი მეამბოხე ლიდერი, რომელიც ცდილობს პოტენციურ მეამბოხეთა რეკრუტირებას, აქვს სერიოზული დაბრკოლებები გადასალახი, მან უნდა დაარწმუნოს პოტენციური რეკრუიტები დააყენონ სიცოცხლე რისკის ქვეშ წარმოუდგენელი მიზეზებისთვის და მიზნებისთვის. რაციონალური მოქალაქე ირჩევს რისკებიდან გამომდინარე არ ჩაერთოს მეამბოხეთა ნაკადებში. ყოველივე ამის შემდეგ, სიცოცხლე და საკუთრება უფრო მეტად არის რისკის ქვეშ მეამბოხეთათვის, ვიდრე მათთვის, ვინც არ არიან ჩართულნი პროცესებში.

კოლექტიური ძალადობის ორი ტიპი ყველაზე გავრცელებულია: ისინი, რომლებიც ხდებიან კოლექტიური სამიზნეები ადგილის გამო (მაგ., სოფელი) და ისინი, რომლებიც ხდებიან კოლექტიური სამიზნეები იდენტობის გამო (მაგალითად, ეთნიკურობა). თითოეულ შემთხვევაში, უდანაშაულო თანასოფლელებს ან იმავე ეთნოსის წარმომადგენლებს კლავენ მეამბოხეთა მხარდამჭერებთან ერთად. ეს პრობლემური საკითხია როგორც ჰუმანური, ისე მორალური პრინციპებიდან გამომდინარე. მეამბოხეთა კოლექტიური მოქმედების გაძლიერების ნაცვლად, კოლექტიური სახელმწიფო ძალადობა ხელს უწყობს მათ მოგვარებას.[15]

რეპრესია არის იძულების ფორმა, მაგრამ ყველა იძულება არ არის რეპრესიული. სახელმწიფოებმა შეიძლება გამოიყენონ ძალადობა, მაგალითად, რათა აღკვეთონ სოციალური ძალადობა (გაუპატიურება, მკვლელობა და ა.შ.). ასეთი ქცევა რეპრესიული ხდება სამი გარემოებებით: როდესაც ის არღვევს იმას, რასაც ამერიკელები აღიარებენ როგორც პირველი შესწორების უფლება, როდესაც ის არღვევს ადმინისტრაციისა და კანონის საარბიტრაჟო პროცესს და როდესაც ის საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა ფიზიკური მთლიანობას ან უსაფრთხოებას.

ჩვენ, ადამიანებს გვაქვს გარკვეული თავისუფლებები, მათი უმეტესობა შეიძლება განხორციელდეს მთავრობის უმოქმედობის საშუალებით მათ შორის სიტყვის, შეკრებისა და მოგზაურობის თავისუფლება. ჩვენ ასევე შეგვიძლია განვიხილოთ გაერთიანებისა და რწმენის თავისუფლება და აზრის მშვიდობიანი გამოხატვის უფლება ხელისუფლების პოლიტიკის ან პრაქტიკის წინააღმდეგაც კი. საბოლოოდ, ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ პრესის თავისუფლება, მიუხედავად მათი შეხედულებებისა. ანალოგიურად, ჩვენ გვაქვს ფიზიკური მთლიანობისა და

---

[15] POLITICAL REPRESSION AND PUBLIC PERCEPTIONS OF HUMAN RIGHTS

Christopher J. Anderson Patrick M. Regan Robert L.

Ostergard Department of Political Science Binghamton University –page 2

უსაფრთხოების უფლება. სხვა თავისუფლებების რეალიზება ხდება საუკეთესო ფორმით მაშინ, როდესაც მთავრობა აკვირდება "პოლიციის ქმედებების ზოგადად აღიარებულ სტანდარტებს და სასამართლოსა და ადმინისტრაციულ ქცევას, რომელიც დაკავშირებულია პირის პოლიტიკური შეხედულებებთან"[16]. როდესაც მთავრობა ცდილობს ჩვენთვის რომელიმე ზემოაღნიშნული უფლების წართმევას, არღვევს ამ სტანდარტებს, ჩვენ ვხდებით რეპრესირებულნი.[17]

[16] გოლდსტეინი, 1978, გვ. Xxxi

[17] The Strategic Use of State Repression and Political Violence Jacqueline H. R. deMeritt

Subject: Contentious Politics and Political Violence

Online Publication Date: Oct 2016

https://oxfordre.com/politics/view/10.1093/acrefore/9780190228637.001.0001/acrefore-9780190228637-e-32

# მეორე თავი

## *კავკასიის უსაფრთხოების გეოპოლიტიკური გამოწვევები- პოლიტიკური რეპრესიები  და შეიარაღებული კონფლიქტები*

ამ თავში დეტალურად მიმოვიხილავ კავკასიის უსაფრთხოების გეოპოლიტიკურ გამოწვევებს, პოლიტიკური რეპრესიების და შეიარარებული კონფლიქტების მნიშვნელოვან მაგალითებს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში. ასევე ყურადღება იქნება გამახვილებული საქართველოს პოლიტიკური განვითარების ეტაპებზე დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე. გარდა ამისა, განხილული იქნება აზერბაიჯანის პოლიტიკური დილება და სომხეთის პოლიტიკური განვითარების ჰუმანიტარული ასპექტები. თითოეულ ქვეთავში ყურადღება იქნება გამახვილებული ადამიანის უფლებების და თავისუფლების ხარისხზე. განხილული თემების საფუძველზე, მნიშვნელოვნად იქნება ხაზგასმული თუ რა გავლენა აქვს პოლიტიკურ რეპრესიებს და შეიარაღებულ კონფლიქტებს კავკასიის უსაფრთხოებაზე და რა გეოპოლიტიკური გამოწვევების წინაშე იმყოფებიან  ზემოაღნიშნული ქვეყნები.

## 2.1. საქართველოს პოლიტიკური განვითარების ეტაპები -არშემდგარი ქვეყანა თუ ტრანზიტული დემოკრატია

1989 წელს, როდესაც ფრენსის ფუკუიამამ ისტორიის დასასრული[18] იწინასწარმეტყველა საბჭოთა კავშირის მომავლის განჭვრეტა რთული აღმოჩნდა. 1991 წლის 26 დეკემბერს, დეემოკრატიის წყურვილით აღსავსე სახელმწიფოების დიდი ხნის მისწრაფება მოვიდა სისრულეში. თუმცა, პოსტ-კომუნისტური ქვეყნების მომავალი საკმაოდ გაურკვეველი იყო. აღნიშნულ გარდამავალ პერიოდს დასავლეთი მზად შეხვდა და მატერიალური თუ ადამიანური რესურსების მობილიზებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში დემოკრატიული გზის განნვითარებას შეუდგა. სამწუხაროდ, რიგ ქვეყნებში ეს პროცესი კრიზისს, გრძელვადიან პაუზას ან საერთოდ დეფიციტს განიცდის. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სამწუხაროდ, დემოკრატიული სახელმწიფოს იდეალურ ჩარჩოს ჯერ კიდევ ვერ ქმნის; აზრთასხვადასხვაობაა სახელმწიფოს სტატუსის ირგვლივ: არშემდგარი ქვეყანა ან ჰიბრიდული დემოკრატიის მაგალითი სახელმწიფო?

2009 წელს, ამერიკული ორგანიზაციის ,,მშვიდობის ფონდის'' მიერ წარდგენილ ანგარიშში[19], სადაც საუბარია არშემდგარ სახელმწიფოებზე საქართველომ ოცდამეცამეტე ადგილი დაიკავა. მაინც რას ნიშნავს იყო იმ სახელმწიფოების სიაში, რომელსაც არშემდგარი (failed states) ეწოდება? ინდექსი იმ რისკებისა თუ საფრთხეების მაჩვენებელია, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანაში არსებობს. (აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ანგარიშში ავღანეთი, სომალი, ლიბერია სუდანი და სხვა კონფლიქტური ქვეყნებია წარმოდგენილი).

იტალიელი პოლიტოლოგი ლეონარდო მორლინო საინტერესოდ აღწერს ჰიბრიდული რეჟიმის მახასიათებლებს : ,,... ჰიბრიდული რეჟიმი ორაზროვანი ინსტიტუციების ჯგუფია{...} რომელიც ერთი ან მეტი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის ნაკლბობას განიცდის და ამავდროულად ვერ

[18] Francis Fukuyama ,,end of history'', 1989, 1-18.

[19] საქართველო- არშემდგარი ქვეყანა ; 24.12.2009

http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=7999&lang=geo

ახერხებს იმ მახასიათებლების ბოლომდე ათვისებას, რაც მას ან დემოკრატიულ ან ავტორიტარულ რეჟიმად აქცევდა''.

არსასურველია თუმცა, ფაქტია, რომ  დღეს, საქართველო დგას რისკების წინაშე და ამავდროულად ,,დემოს'' ,,კრატოს''_ ანუ ხალხის მმართველობის, დემოკრატიის სრულფასოვნად არსებობის ნაკლებობას განიცდის. საკითხები, როგორიცაა კონფლიქტის ზონები, საგარეო პოლიტიკური კურსი, რეჟიმების მიერ ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, სოციალური უთანასწორობა ქვეყნის მთავარ გამოწვევად რჩება.

დღეს, XXI საუკუნეა და მალე მის ორ ათწლეულს იზეიმებს მსოფლიო. საქართველო საბჭოთა კავშირის მარწუხებიდან თითქმის ოცდარვა წელია გათავისუფლდა. შესაბამისად, დღეს დამდგარი შედეგები და გამოწვევები, რა თქმა უნდა, სხვადასხვა რევოლუციების ( დამოუკიდებლობა, ვარდების რევოლუცია) დროს მმართველი ძალის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ქმედებების დიდი ჯაჭვია. შესაბამისად, კითხვაზე ლოგიკური პასუხის მოსაძებნად თუ დემოკრატიული ფასეულობების რა ეტაპზეა დღეს საქართველო წარსულის მოკლე განხილვაა აუცილებელი.

კავკასიის რეგიონს ყველაზე რთული პოსტ კომუნისტური გარდასახვა ხვდა წილად. ეთნიკური კონფლიქტები რეგიონის ერთ-ერთი მწვავე საკითხი აღმოჩნდა. ამასთანავე, უსამართლობა, სახელმწიფო სტრუქტურების გაუმართაობა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა აუცილებლად გამოსასწოებელ პრობლემათა სიაში იყო.

საქართველო იმ ქვეყნებს შორის აღმოჩნდა, რომლებმაც ქვეყანაში დემოკრატია, სახელმწიფოს მშენებლობის მთავარ იარაღად აირჩია. ეს მიზანი ეკონომიკური დაღმასვლისა და კორუფციის ფონზე 1990-იანი წლების დასაწყისში მირაჟული აღმოჩნდა. ბოლო სამ ათწლეულში გადატანილი ორი ომის შემდეგ, არსებობდა სულ მცირე იმედი, იმისა, რომ საქართველო

შემდგარ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა. თვითონ ედუარდ შევარდნაძე, თავისივე რეჟიმის აღსაწერად ხშირად იყენებდა სიტყვას დემოკრატია; ამ დროს ქვეყანა ოლიგარქიის, სიღარიბის, კორუფციის დიდი ბურუსით იყო მოცული და დემოკრატიის ერთ კრიტერიუმსაც ვერ აკმაყოფილებდა.[20] 1995 წლიდან 2001 წლამდე შევარდნაძე სტაბილური ჰიბრიდული რეჟიმის მცდელობით იყო დაკავებული; მას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი გამორჩა სტაბილურობისთვის: ელიტების გავლენის შემცირება და ბიუჯეტის კრიზისის გამკლავება. შედეგად, გამოჩნდა ოპოზიციური ძალა, რომელმაც რევოლუციით გადააყენა მმართველი ძალა. ეს მულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, მიხეილ სააკაშვილმა ხმათა უდიდესი უმრავლესობა 96% მიიღო. რა თქმა უნდა, ეს ქვეყნისთვის გადადგმული ძალიან დიდი ნაბიჯი აღმოჩნდა, რადგან რეჟიმი ხასიათდებოდა, როგორც ჰიბრიდული; რეჟიმი რომელიც ცდილობდა უკეთესი სახელმწიფო შეექმნა. ეს ყველაფერი ფასადური აღმოჩნდა. ადამიანის უფლებების რღვევა, სააკაშვილის მთავრობის დაცემის წინაპირობა გახდა.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ელიტის აღმოცენებას ოპტიმისტურად შეხვდა. ახალგაზრდა, ქარიზმატული ლიდერებით შემდგარ ახალ მთავრობას იმედით აკვირდებოდა ქვეყნის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობაც. ერთსულოვნება ქვეყნის მიმართულების შეცვლისთვის მშვიდობიანი, განვითარებული, დაცული სახელმწიფოსკენ აშკარა იყო. საქართველო იმ ქვეყნების სიაში მოხვდა, რომლებსაც ევროპული სამეზობლო პოლიტიკის წყალობით სახელმწიფო დემოკრატიული გზით უნდა განევითარებინათ; იგი გახდა ჩრდილო-

[20] ჯოზეფ შუმპეტერის მიხედვით, დემოკრატიის მინიმალური დეფინიცია სამართლიანი არჩევნების ჩატარებაა; შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს ძალიან ხშირად მზადდებოდა რაპორტები გაყალბების შესახებ.

ატლანტიკური ალიანსის (NATO) პარტნიორი. გარდა ამისა, ქვეყანაში გატარდა რიგი რეფორმები სახელმწიოფის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად. საუბედუროდ, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა მხოლოდ ინფრასტრუქტურის, ელექტრონული მომსახურებების, კანონში ცვლილებების ხარჯზე ვერ მოხერხდა. 2003 წლიდან 2012 წლამდე არსებულმა რეჟიმმა მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, უამრავი სიმახინჯე გამოავლინა, რაც ნამდვილად არ ჯდებოდა არა მხოლოდ დემოკრატიის არამედ, ჰუმანურობის კრიტერიუმებში.[21] სახელმწიფო სტრუქტურები საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ იქნა გამოყენებული, სახელმწიფომ ბევრი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანი  დაითვალა, უხეშად დაირღვა ლიბერალური დემოკრატიის ფუნდამენტალური ფასეულობები.

2012 წლის ე.წ. ციხეების საქმემ ცხრა წლიანი უშედეგო მცდელობა დემოკრატიის ჩამოსაყალიბებლად სრულიად შეცვალა. ,, სააკაშილი და მისი თანამოაზრეები დემოკრატიული წესების ყუთში აღმჩნდენ''[22] და მათ  ვეღარ შეძლეს შეწინააღმდეგებოდნენ უკვე არსებულს, როცა მათი თვითგადარჩენის საკითხი დადგა. პატიმრების წამებისა და მათი ავადმყოფობის კადრების გამოქვეყნებას მასობრივი პროტესტი მოჰყვა. მოსახლეობა ქუჩაში თანამოქალაქეებისა და თავიანთი უფლებების დასაცავად გამოვიდა. შედეგად, მთავრობა არჩევენების გზით, დემოკრატიულად შეიცვალა. ორი ვადით

[21] Simon Shuster, “Inside the Prison That Beat a President: How Georgia’s Saakashvili Lost His Election,” Time, 2 October 2012, http://world.time.com/2012/10/02/inside-the-prison-that-beat-a-president-how-georgias-saakashvili-lost-his-election/

[22] Fairbanks and Gugushvili; 2013_ 121.

საქართველოს პრეზიდენტად ყოფნის შემდეგ, 2013 წელს მიხეილ სააკაშვილმა პოსტი დატოვა.[23]

უამრავი განსხვავება მოიძებნება შევარდნაძისა და სააკაშვილის რეჟიმებს შორის, თუმცა მათი მმართველობა თითქმის ათწლეული გაგრძელდა. შედეგი ერთი იყო: ვერცერთმა ვერ მოახერხა საქართველო სრულიად გარდაექმნა დემოკრატიულ სახელმწიფოდ ან მთლიანად ავტოკრატიულად. ორივეს ჰქონდა ინსტიტუციური, ინფორმაციული და ჰუმანური გაურკვევლობები, ინსტიტუციური მანიპულაციები, სოციალური დაუცველობის მოუგვარებლობა, საკუთარი ინტერესების გამო მოქალაქეების შეწირვა და სხვა.

ამასთანავე, საქართველო  ორივე რეჟიმის დროს გახდა ჰიბრიდული რეჟიმის მოწმე.

[23] Aliyev H., "The Effects of the Saakashvili Era Reforms on Informal Practices in the Republic of Georgia", Studies of Transition States and Societies, issue 6 (1), 2014, pages: 19-33.

Nations in Transit Ratings and Averaged Scores

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Electoral Process | 5.25 | 5.25 | 4.75 | 4.75 | 4.50 | 4.75 | 5.25 | 5.25 | 5.00 | 5.00 |
| Civil Society | 4.00 | 3.50 | 3.50 | 3.50 | 3.50 | 3.50 | 3.75 | 3.75 | 3.75 | 3.75 |
| Independent Media | 4.00 | 4.00 | 4.25 | 4.25 | 4.00 | 4.25 | 4.25 | 4.25 | 4.25 | 4.25 |
| Governance* | 5.50 | 5.75 | n/a | n/a | n/a | n/a | n/a | n/a | n/a | n/a |
| National Democratic Governance | n/a | n/a | 5.50 | 5.50 | 5.50 | 5.75 | 6.00 | 6.00 | 5.75 | 5.75 |
| Local Democratic Governance | n/a | n/a | 6.00 | 5.75 | 5.50 | 5.50 | 5.50 | 5.50 | 5.50 | 5.50 |
| Judicial Framework and Independence | 4.50 | 4.50 | 5.00 | 4.75 | 4.75 | 4.75 | 4.75 | 4.75 | 5.00 | 5.00 |
| Corruption | 5.75 | 6.00 | 5.75 | 5.50 | 5.00 | 5.00 | 5.00 | 5.00 | 4.75 | 4.50 |
| Democracy Score | 4.83 | 4.83 | 4.96 | 4.86 | 4.68 | 4.79 | 4.93 | 4.93 | 4.86 | 4.82 |

[24]

ზემოთმოცემული მონაცემების მიხედვით, კიდევ ერთხელ აშკარაა, რომ საქართველომ სააკაშვილის მმართველობის დროს  დემოკრატიის არცერთი მაჩვენებელი გაუმჯობესებული არ დაუტოვა სახელმწიფოს.  დღემდე, 2018 წლის მონაცემებით, საქართველო ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყნად სახელდება მსოფლიოს მიერ (  დემოკრატიულობის ქულა 4.68/7).[25] სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყნის თითქმის უკვე 30 წლიანმა მმართველობამ დემოკრატიის ხარისხის გაუმჯობესებაზე გავლენა ვერ მოახდინა.  რეჟიმები, რომელიც დღეს წარმოდგენილ ძალამდე არსებობდა, შექმნა სამწუხარო პრეცედენტი: დატოვა სახელმწიფო ჰიბრიდულ სისტემაში, სადაც ხშირად ისიც გაურკვეველი ხდებოდა იყო ეს

[24] Freedomhouse, 2012 წლის მონაცემები. 1= საუკეთესო, 7=ყველაზე ცუდი, https://freedomhouse.org/report/nations-transit/2012/georgia

[25] Nations in Transit Ratings and Averaged Scores https://freedomhouse.org/report/nations-transit/2018/georgia

ავტოკრატიულობასა და დემოკრატიულობას შორის არსებული რეჟიმი თუ უბრალოდ, არშემდგარი ქვეყანა.

## 2.2. აზერბაიჯანის პოლიტიკური დილემა- ჰიბრიდული დემოკრატიის ზღვარზე

აზერბაიჯანის რესპუბლიკა სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში სამხრეთ-დასავლეთი აზიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის გზაჯვარედინზე მდებარეობს, რომელსაც აღმოსავლეთით ესაზღვრება კასპიის ზღვა, ჩრდილოეთით რუსეთი, ჩრდილო-დასავლეთით საქართველო, დასავლეთით სომხეთი და სამხრეთით ირანი.

აზერბაიჯანის დემოკრატიულმა რესპუპლიკამ 1918 წელს გამოაცხადა დამოუკიდებლობა ხოლო 1920 წელს შევიდა სსრკ-ს შემადგენლობაში აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით. ქვეყანა უნიტარული და ნახევრადსაპრეზიდენტო რესპუბლიკაა, ის ასევე ევროპის საბჭოს, ეუთო-ს და ნატო-ს „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ პროგრამის წევრია. აზერბაიჯანს 158 ქვეყანასთან აქვს დიპლომატიური ურთიერთობა და გარდა ამისა, 38 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია.

1995 წლის 12 ნოემრბერს აზერბაიჯანის პოლიტიკური სისტემის ფორმირების დასრულება ახალი კონსტიტუციის მიღებამ განაპირობა. აღნიშნული კონსტიტუციის 23-ე მუხლის მიხედვით, აზერბაიჯანის სახელმწიფო სიმბოლოებია დროშა, გერბი და ჰიმნი. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სახელმწიფო ხელისუფლება განისაზღვრებოდა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი კანონებით, რაც შეეხებოდა საერთაშორისო ურთიერთობებს ამყარებდა საერთაშორისო ხელშეკრულებების ფარგლებში.

აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საპარლამენტო არჩევნები იმართება 5 წელიწადში ერთხელ. აღმასრულებელი ხელისსუფლება პრემიერ-მინისტრისა და

პრეზიდენტის განკარგულებაშია, რომელსაც პირდაპირი არჩევნების გზით ირჩევენ 5 წლის ვადით. პრეზიდენტს აქვს უფლება შექმნას მინისტრთა კაბინეტი, რომელიც თავის მხრივ კოლექტიური აღმასრულებელი ორგანოა და პასუხისმგებელია პრეზიდენტის და პარლამენტის წინაშე. მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობაში შედიან პრემიერ-მინისტრი, მისი მოადგილეები და მინისტრები. პრეზიდენტს თავისი უფლება-მოვალეობიდან გამომდინარე არ აქვს უფლება დაითხოვოს პარლამენტი, თუმცა აქვს უფლება ვეტო დაადოს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

რაც შეეხბეა აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგარეო პრიორიტეტბს, მისი მთავარი და უმთავრესი ამოცანაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; მთიანი ყარაბაღის და მის ფარგლებს გარეთ არსებულ 7 რეგიონში ოკუპაციის შედეგად მიღებული შედეგების აღმოფხვრა; ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირება; საერთაშორისო უსაფრთხოების განვითარებაში მონაწილეობა; საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორობა; ორმხრივი ურთიერთობებისა და რეგიონალური თანამშრომლობის განვითარება; უსაფრთხოების განვითარების ხელშეწყობა შიდა პოლიტიკის განვითარებით; დემოკრატიის გაძლიერება; როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური განვითარება და ა.შ.

აზერბაიჯანის რესპუბლიკას დანამდვილებით არ აქვს განსაზღვრული საგარეო პოლიტიკური არჩევანი და მისი მცდელობაა, საკუთარი ადგილის დამკვიდრება დასავლეთს, რუსეთსა და თურქეთს შორის. ქვეყნის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის მიერ პოლიტიკური მიმართულებების ამგვარი დივერსიფიკაცია ქვეყანაში მცხოვრებ საზოგადოებაში წარმოშობს მოსაზრებას, რომელიც გულისხმობს, რომ ქვეყანა არ არის დამოკიდებული ერთ რომელიმე ძალასთან, რაც თავის მხრივ საბოლოოდ ქვეყნის განვითარებას უქმნის გარკვეულ საფრთხეს.

ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე მსჯელობა შესაძლებელია აზერბაიჯან-თურქეთის ურთიერთობის საფუძველზე, რაც ემყარება პრინციპს- „ერთი ერი, ორი

სახელმწიფო“ , აღნიშნული ურთიერთობები განპირობებულია სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობით. აზერბაიჯან- თურქეთის ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბებას საფუვლად უდევს 90-იანი წლების დასაწყისში სომხეთის შეიარაღებული დაპირისპირების დროს პროაზრებაიჯანული პოლიტიკა. თურქეთის განცხადებით აზერბაიჯანი მისთვის წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან პარტნიორს და მას სტრატეგიულ პარტნიორად მოიაზრებს.

აზერბაიჯანის დასავლეთთან ურთიერთობებზე საუბრისას, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევს არაერთხელ გამოუცხადებია, რომ საბოლოოდ ქვეყნის მიზანი ევროპასთან ინტეგრირება და დასავლური ფასეულობების გაზიარებაა, რასაც ექსპერტთა ნაწილი აზერბაიჯანის რუსეთთან დამთბარი ურთიერთობის გამო საეჭვოდ მიიჩნევდნენ. როგორც ჩვენთვის ცნობილია, 2013 წელს აზერბაიჯანის რესპუბლიკამ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერისგან თავი შეიკავა, აზერბაიჯანის ეს ქმედება ექსპერტებმა რუსეთის ფაქტორს დაუკავშირეს. რამდენადაც, აზერბაიჯანს აქვს სურვილი ევროპასთან თანამშრომლობის, იმდენად არ სურს რუსეთთან ურთიერთობების გართულება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. აზერბაიჯანი რომ სიფრთხილით ეკიდება რუსეთთან ურთიერთობას და ითვალისწინებს რუსეთის სამხედრო რესურსს და შესაძლებლობებს ნათელია. რუსეთის მცდელობა რომ შეიტყუოს აზერბაიჯანი ევრაზიულ საბაჟო კავშირში ესეც ნათელია.

2015 წლამდე აზერბაიჯანი დარწმუნებით აცხადებდა, რომ არ გეგმავდა არცერთ გაერთიანებებში მონაწილეობას და განსაკუთრებით ევრაზიულ საბაჟო კავშირში. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა როგორ შეიძლება რუსეთმა შეიტყუოს აზერბაიჯანი ევრაზიულ საბაჟო კავშირში? რუსეთი, რომელიც ერთისმხრივ აგრესიით უყურებს ენერგორესურებით მდიდარ აზერბაიჯანს და თვლის რომ აზერბაიჯანის მიერ ნავთობისა და გაზის ევროპაში ტრანზიტის ფონზე ვერ მოხიბლავს აზერბაიჯანს რუსეთის ეკონომიკური საქმიანობის შეთავაზებით,

მან იცის რომ ყურადღება მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოგავრებაზე უნდა შეაჩეროს და შესთავაზოს ისეთი რამ, რაც აზერბაიჯანს რუსეთისკენ შეატრილებს. რუსეთმა იცის, რომ მთიანი ყარაბაღის დაკარგვა აზერბაიჯანისთვის დიდი იარაა, ვარაუდობს  იმას, რომ აზერბაიჯანი მთიანი ყარაბაღის დაბრუნების სანაცვლოდ მზადაა ევრაზიულ საბაჟო კავშირში გაწევრიანებისთვის.  ფაქტია, რომ აზერბაიჯანს კარგს ვერაფერს მოუტანს ევრაზიულ საბაჟო კავშირში გაწევრიანება, ვინაიდან მისი ეკონომიკა რუსეთის რეგულაციების ქვეშ მოექცევა, გარდა ამისა, აღნიშნული ქმედება უარყოფით რეაქციას გამოიწვევს სხვა აქტორებშიც, ვინაიდან აზერბაიჯანი თავისი მნიშვნელოვანი ენრეგორესურსების ექსპორტიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი მოთამაშეა  საერთაშორისო არენაზე. აზერბაიჯანის ევრაზიულ კავშირში გაერთიენაბა რეგიონალური თვალსაზრისით, მიუღებელი იქნება ევროკავშირისთვისა, რომელიც ენერგორესურსებით მარაგდება რუსეთის გვერდის ავლით,  სამხრეთ კავკასიის კორიდორის მეშვეობით. სერიოზული დარტმა იქნება აზერბაიჯანის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება თურქეთის ეკონომიკისთვისაც, რომელიც ბოლო პერიოდში აქტიურად ცდილობს ქვეყნის წარმოჩინებას, როგორც ენერგორესურსების დაგროვების და განაწილების მნიშვნელოვან არეალს. რათამქუნადა, აზერბაიჯანის ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება უარყოფითად აისახება საქართველოზეც, რომელსაც აზერბაიჯანი მიაჩნია სტრატეგიულ პარტნიორად. აზერბაიჯანის ევრაზიულ კავშირში გაერთიანება საფრთხეს შეუქმნის საქართველოს პოლიტიკური თვალსაზრისითაც და გარდა ამისა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ქვეყანაში გამავალ ენერგო და  სატრანსპორტო მაგისტრალების ეფექტურად მუშაობას.

აქედან გამომდინარე, რუსეთის მიერ აზერბაიჯანის ევრაზიულ საბაჟო კავშირში გაერთიანიაბის მცდელობისას საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირს უნდა ჰქონდეთ ერთნაირი პოზიცია , ვინაიდან  რუსეთის გეგმის განხორცილება ერთნაირად საზიანო აღმოჩნდება  სამივე მათგანისთვის.

## 2.3. სომხეთის პოლიტიკური ტრანზიციის ჰუმანიტარული ასპექტები (ადამიანის უფლებები და თავისუფლების ხარისხი)

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან სომხეთი საკუთარი პოლიტიკით და განსხვავებული მიზნებით სხვა ქვეყნებისგან ყოველთვის გამოირჩეოდა. სომხეთის დიდი ნაწილი საუკუნეების განმავლობაში ოსამალეთის იმპერიას ეკუთვნოდა და სხვა იმპერიების მიერ მისი დაპყრობის მსხვერპლიც არაერთხელ ყოფილა.

სომხეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1918 წლის 28 მაისს და ამის შემდეგ შეიქმნა ხელისუფლების უმაღლესი ორგანო - პარლამენტი, აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა მთავრობა, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებული იყო პარლმანეტთან. მიუხედავად იმისა რომ სომხეთი იყო საპარლამენტო რესპუბლიკა არ ქონდათ მიღებული იმ პერიოდისათვის ერთიანი კონსტიტუციური აქტი.

სომხეთში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ (1920 წლის 29 ნოემბერი), რამდენიმე კონსტიტუცია იქნა მიღებული, რომელიც შექმნილი იყო საბჭოთა კავშირის კონსტიტუციების საფუძველზე. ამის შემდეგ წლების განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი კონსტიტუცია იქნა მიღებული, ხოლო სომხეთის ბოლო კონსტიტუცია 1978 წელს მიიღეს. 1990 წლის 23 აგვისტოს სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ იქნა დეკლარაცია სომხეთის დამოუკიდებლობის შესახებ, 1991 წლის 23 სექტემბერს ჩატარებული რეფერენდუმის შემდეს უმაღლესმა საბჭომ დაადასტურა სომხეთის დამოუკიდებლობა.

ახალი კონსტიტუცია , რომლის მიხედვითაც სომხეთი გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, 1995 წლის 5 ივლისს გამართულ საერთო სახალხო რეფერენდუმზე მიიღეს. აღნიშნული კონსტიტუცია მნიშვნელოვნად ამყარებდა საპრეზიდენტო სისტემას, აქვე უნდა აღინიშნოს , რომ ზემოაღნისნული კონსტიტუციის მიღებამდე არსებობდა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა, თუმცა

მისი უფლება-მოვალეობა არ შეცვლილა კონსტიტუციის მიღებისთანავე, ის თავის მოვალეობებს ასრულებდა უფლებამოსილების შეწყვეტამდე. აღნიშნული კონსტიტუცია კრიტიკის საგანი იყო ოპოზიციისთვის, მათთვის განსაკუთრებით მიუღებელი იყო პარლამენტის უფლებამოსილების ხარჯზე პრეზიდენტის სასარგებლოდ ხელისუფლების განაწილება. იქიდან გამომდინარე, რომ კონსტიტუციას მხოლოდ ოპოზიცია არ აკრიტიკებდა და საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძოდ კი ევროპის საბჭოს მხრიდანაც კრიტიკული დამოკიდებულება ვლინდებოდა, 2005 წლის 27 ნოემბრის რეფერენდუმზე კონსტიტუციის შესწორებები მიიღეს. კონსტიტუციაში ცვლილებები გამომდინარეობდა სომხეთის მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების საფუძველზე.

1991 წლიდან პოლიტიკურის სისტემის ტრანსფორმაციის პროცესი დაიწყო ქვეყანაში, რაც გულისხმობდა რომ ახალი საზოგადოებრივი მოწყობის მოდელი ეწინააღმდეგებოდა ძველს, საბჭოთა კავშირის რეჟიმს. თანამედროვე სომხეთის პოლიტიკური ინსტიტუტების საქმიანობაში დიდი როლი აქვს ახლო აღმოსავლეთის, რუსეთის და დასავლეთის ქვეყნებში მყოფ დიასპორას, რაც გამოიხატებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვან მომენტებში, მაგალითად მათი გავლენა მნიშვნელოვნად ასუსტებდა შესაძლო სანქციებს სომხეთის მიმართ ყარაბაღის ირგვლივ განვითარებული ომის დროს. აღსანიშნავია ისიც, რომ 1992 წელს აშშ-ს კონგრესმა სომხური ლობისტების მოქმედების შედეგად მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც აზერბაიჯანისათვის იკრძალებოდა ყველა სახის დახმარების გაწევა, გარდა ჰუმანიტარული დახმარებისა, იქამდე, სანამ აზერბაიჯანი არ გადადგავდა ნაბიჯებს სომხეთის ბლოკადის შეწყვეტისკენ.

დამოუკიდებლობიდ მოპოვების შემდეგ (1991წ) სომხეთს მეოთხე პრეზიდენტი ყავს, 1991-1998 ლევონ ტერ-პეტროსიანი, 1998-2008 რობერტ ქოჩარიანი, 2008-2018 სერჟ სარქისიანი , 2018- არმენ სარქისიანი. მნიშვნელოვანი თარიღია სომხეთის ისტორიაში 2018 წლის 2 მარტი, როდესაც საკონსტიტუციო

რეფორმის საფუძველზე სომხეთში ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები და პირველად ქვეყნის ისტორიაში პრეზიდენტი აირჩია ეროვნულმა კრებამ და არა ხალხმა. განახლებული კონსტიტუციის მიხედვით პრეზიდენტად შეიძლება იქნას არჩეული მხოლოდ სომხეთის მოქალაქე , რომელიც იქნება 40 წელს მიღწეული, იცის სომხური ენა და ბოლო 6 წლის განმავლობაში ცხოვრობს სომხეთში მუდმივად.

ასევე აღსანიშნავია 2017 წლის 2 აპრილი, როდესაც ახალი კონსტიტუციის საფუძველზე სომხეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, სადაც გაიმარჯვა სომხეთის რესპუბლიკურმა პარტიამ. 2017 წლის საპარლამენტო არჩევნების მთავარი რესურსი სომხეთში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა იყო. [26]

# მესამე თავი

## *კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების პრობლემები სტაბილურობისა და კონფრონტაციის მიჯნაზე*

მესამე თავში განვიხილავ კავკასიის რეგიონული უსაფრთხოების პრობლემებს, სტაბილურობისა და კონფრონტაციის მიჯნაზე. კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ვისაუბრებ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში არსებულ უსაფრთხოების პრობლემებზე. უშუალოდ პირველ ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაცია შეეხება

[26] მალხაზ მაცაბერიძე- თანამედროვე სომხეთის პოლიტიკური სისტემა, სალექციო კურსი: კავკასიის შედარებითი პოლიტიკა, თემა II, თბილისი -2018 წელი გვ.45

კავკასიურ კონლფიქტებს და ჰუმანიტარულ კრიზის აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტების მაგალითზე. მეორე ქვეთავში ვისაუბრებ რეგიონული უსაფრთხოების კონტურებზე 21-ე საუკუნეში, ხოლო მესამე ქვეთავში ვისაუბრებ ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმებზე საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.

## 3.1. კავკასიური კონფლიქტები და ჰუმანიტარული კრიზისი- აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტების მაგალითები

საბჭოთა კავშირის დაშლამდე არაერთი მნისვნელოვანი მოვლენები მოხდა საქართველოში. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მომოძრაობა 1988-1989 წლებში საქართველოში მნიშვნელოვნად გაძლიერდა, რუსეთი კი აღნისნულ მოძრაობას უპირისპირებდა აფხაზებისა და ოსების ფაქტორს, რომლებიც წარმოადგენდნენ კავკასიურ ეთნოსებს.

ჩრდილო კავკასიაში 90-იანი წლების დასაწყისში გაძლიერდა სეპარატისტული მოძრაობა, რის შემდეგაც საქართველოს გაუჩნდა იმედი , რომ რუსეთი თავისი პრობლემების გამო შეცვლიდა სეპარატისტული მოძრაობების პოლიტიკას , რომელიც უკავშირდებოდა სოხუმისა და ცხინვალის მხარდაჭერას. საქართველოს მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ოსებისა და აფხაზების დახმარებაზე ფიქრობდა, თუმცა ამასთანავე ნათელი იყო ისიც, რომ საქართველოს შიდა საქმეების განხორციეებაში რუსეთი არამარტო ჩართული იყო, არამედ ძირითადი მოთამაშეები თვითონ იყვნენ.

„კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“ ჩამოყალიბდა 1989 წელს ჩრდილო კავკასიაში, რომლის მიერ განხორციელებული ყრილობა პირველად ჩატარდა სოხუმში. ორგანიზაციის დაფუძნების დღიდან შეინიშნებოდა მისი ანტიქართული მიმართულება, ამ მოსაზრების გასამყარებლად ნათელი მაგალითია ორგანიზაციის ქმედება, როდესაც საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმების

გარეშე ორგანიზაციამ თავისი შტაბ-ბინის მდებარეობად სოხუმი დაასახელა. ექსპერტთა მოსაზრების თანახმად „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია“ საქართველოს ქინააღმდეგ ჩრდილო-კავკასიური ფაქტორის ასამოქმედებლად იმართებოდა, რომელიც იგეგმებოდა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ.

საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის აპრილში, ხოლო 1990 წლის 11 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გააუქმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ. ამის შემდეგ 1991 წელს, საჭოთა შინაგანი ჟარის ნაწილი ცხინვალში შევიდა, შემდეგ უკვე მათ უახლოეს პერიოდში შეიარაღებული ფორმირებები დაემატა, რომლებასაც ქოდა არაფორმალური სახე. ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყების შემდეგ საქართველოს მოქალაქეების 40 ათასზე მეტი ადამიანი მიადგა რუსეთს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ქართველების უმეტესი ნაწილი წავიდა ჩრდილო ოსეთში. ამას მოყვა ტერიტორიული დავა, პრეტენზიების შედეგად ოსურ-ინგუშური კონფლიქტი წარმოიშვა, სადაც საქართველოდან წასულმა დევნილმა მოქალაქეებმა, ხელი შეუწყვეს ინგუშთა განდევნას მათი საცხოვრებელი ადგილმდებარეობოდან და დაიკავეს ანტიინგუშური პოზიცია.

მნიშვნელოვანია ის ფაქტ, რომ საქართველო და ჩრდილოკავკასია ერთმანეთის სასინაო კონფლიქტებში უშუალოდ იყვნენ ჩართული. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დროს მნიშვნელოვანი იყო საქართველოს დაემყარებინა ახლო ურთიერთობა ჩეჩნეთთან, რაც ჩრდილო კავკასიური პოლიტიკის მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ 1991 წელს პრეზიდენტმა ზ.გამსახურდიამ, პრეზიდენტ ჯ.დუდაევთან ერთად წამოაყენა კავკასიური კონფედერაციის იდეა, სადაც აფხაზეთს მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა და სავარუდო იყო რომ ამით მოგვარდებოდა აფხაზეთის საკითხი. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, რომელიც 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო, როდესაც საქართველოს სახელმწიფო საბჭოს შეიარაღებული ფორმირებების შევიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, მოიაზრება, როგორც ქართულ

სახელმწიფოსთან ჩრდილოკავკასიელთა დაპირისპირების კუთხით მნიშვნელოვანი გამოვლენა. იმავეთვეს ქალაქ გროზნოში გამართულ ყრილობაზე, ექსპერტთა მოსაზერებების მიხედვით საბოლოოდ გამჟღავნდა კონფედერაციის შექმნის მიზანი და კონფედერაციამ აფხაზეთის დასახმარებლად საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში მზადყოფნა გამოთქვა.

საქართველოს დაპირისპირება ჩრდილო კავკასიასთან , მნიშვნელოვნად განაპირობა საქართველოში 1990-1993 წლებში მიმდინარე კონფლიქტებმა, კონკრეტულად ოსეთის კონფლიქტის გამო ჩრდილო ოსეთთან დაპირისპირება გამოიწვია, ხოლო აფხაზეთის კონფლიქტის გამო ადიღეურ-ჩერქეზულ ეთნოსთან დაპირისპირება. ამ ორი კონფლიქტის შემდეგ კიი მთლიანად ჩრდილო კავკასიას დაუპირისპირდა საქართველო, ვინაიდან აფხაზეთის კონფლიქტში ჩრდილოკავკასიური წარმომავლობის ყველა ეთნოსის  წარმომადგენელი იბრძოდა აფხაზეთის მხარეს. განსაკუთრებით დიდი მასა იყო ყაბარდოელთა და კაზაკთა მილიციის შენაერთების. სეპარატისტების მხარეს იბრძოდნენ ჩრდილოოსეთის ბატალიონიც. საბოლოოდ აფხაზეთის დედაქალაქი სოხუმი 1992 წელს დაეცა.

წლების განმავლობაშო ე.წ „სამხრეთ ოსეთთან“ გადაუჭრელი  ეთნო-ტერიტორიასთან დაკავშირებული  კონფლიქტი რუსეთის მიერ მოგვარებულ იქნა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რასაც თავის მხრივ დიპლომატიური კავშირის გაწყვეტა მოჰყვა საქართველო-რუსეთს შორის.  2010 წლის დასაწყისში არცერთმა ქვეყანამ სამი ქვეყნის გარდა (ნიკარაგუა, ვენესუელა, ნაურუ) არ დაუჭირა მხარი რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ ქვეყნებად გამოცხადების საკითხში. მიუხედავად იმისა რომ მოსკოვი არ იშურებდა ზალისხმევას, ბელარუსმა მაინც უარი განაცხადა პარლამენტის დღის წესრიგში აღნიშნული აღიარების საკითხის დაყენებაზე. საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან უარყოფითი შეფასება მოჰყვა რუსეთის გადაწყვეტილებებს, მაგრამ სიფრთხილით მოეკიდა იმ ქმედებების შეფასებას, იმ ტერიტორიებზე რაც საქართველოსთვის მიიჩნეოდა ოკუპირებულ ტერიტორიად, იქამდე სანამ ევროკავშირის მიერ შემუშავებული

ფაქტების დამდგენი საერთაშორისო მისიის ანგარიში იქნებოდა გამოქვეყნებული. 2009 წელს გამოქვეყნდა აღნიშნული კომისიის მიერ მომზადებული დასკვნები, რომლის მიხედვითაც აღიარების აქტი საერთაშორისო სამართლის ნორმებთან და პრინციპებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა, ამის შემდეგ რუსეთის ლიდერები ირწმუნებოდნენ რომ მათი გადაწყვეტილება საბოლოო იყო და არ შეიცვლებოდა.

"რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა საკითხის ირაციონალურ სფეროში მოქცევა იმ ფიქრების მთელი ჯაჭვის თავიდან აცილების საშუალებაა, რომელიც გარდაუვლად დაიპყრობს ხალხის გონებას და მარტივ ჭეშმარიტებას გამოავლენს: ყველა ის პროცესი, რომელიც პრობლემების შესახებ დიალოგს, ნდობის აღდგენას, ურთიერთობების დამყარებას ემსახურება და მომავალში ქვეყნის მთლიანობის აღდგენის შანსს შექმნიდა, დღევანდელი ხელმძღვანელების პოლიტიკურ კეთილდღეობას ეწირება, იმ ლიდერებისა, რომელთაც არ შეუძლიათ ერთმანეთთან საუბარი." [27]

## 3.2. რეგიონული უსაფრთხოების კონტურები 21-ე საუკუნეში და „უსაფრთხოების დილემა"

21-ე საუკუნეში, კავკასიაში განვითარებული პოლიტიკური პროცესების გარკვევა მხოლოდ შიდა რეგიონული პრობლემების გაანალიზების საფუძველზე თითქმის შეუძლებელია. კავკასია მრავალდონიანი სისტემაა, რომლის ფარგლებშიც ურთულესი კომბინაციითა არის ერთმანეთთან დაკავშირებული ხალხები, რელიგიები და კულტურები, მიუხედავად ამისა აღნიშნული ვითარება თავისხმრივ, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს იმ კონფლიქტუგენურობის გასაანალიზებლად, რომელმაც რეგიონი მოიცვა.

[27] საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა- საქართველოს უსაფრთხოების დილემა აგვისტოს შემდგომ რეალობათა შუქზე

სოციალური კონფლიქტების უდიდესი პარადიგმა გეოპოლიტიკური ხასიათის მატარებელია , მაშინ , როდესაც მისი კონკრეტული შინაარსი ფორმირებულია არსებული ეთნიკური, კონფესიური, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა წინააღმდეგობების ჭრილში. კონფლიქტების მოულოდნელი გაუარესება, კონფლიქტის გადაჭრის აგრესიული მეთოდების შერჩევა და ა.შ. ყველაფერი ეს გარე მესამე ძალის სუბიექტური ჩარევის ნიშნებია.

გეოპოლიტიკური კოორდინაციის სისტემაში კავკასიის რეგიონის ნებისმიერი განხილვა, გულისხმობს ძალთა რეალური განლაგების მთელი სურათის გლობალურ გეოპოლიტიკური დუალიზმის, კონტინენტური და ატლანტიკური ძალების განხილვას შეჯახების კონტექსტში. დღეისთვის შავი ზღვა და ასევე, კასპიის ზღვა მოქცეულია მსოფლიოს ბევრი წამყვანი ქვეყნის ინტერესებში, არა მარტო იმიტომ, რომ აქ და მის მეზობლად კონცენტრირებულია ენერგომატარებლების მდიდარი მარაგები, არამედ, იმიტომაც, რომ რეგიონს გააჩნია უნიკალური გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ხასიათის მნიშვნელოვანი თავისებურებები. ყოველივე ზემოაღნიშნული, მსოფლიო პოლიტიკის მთავარი სუბიექტების წინაშე ბადებს ამოცანას, გლობალური გეგმების განხორციელებისათვის აღნიშნულ სივრცეში განახორციელონ თავიანთი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო სტრატეგიული ინტერესების რეალიზაცია.

სამხრეთ კავკასიისა და კასპიის ზღვის სივრცის გეოსტრატეგიული განზომილებაში არსებული პრობლემა ფოკუსს ახდენს არა მხოლოდ რეგიონის ქვეყნების ურთიერთობის სპეციფიკაზე და ამ ურთიერთობების პრობლემურ შემადგენელზე, არამედ უპირატესად სამხრეთ კავკასიის და კასპიის რეგიონის როლსზე და ადგილზე ახალი მსოფლიო წესრიგის გლობალურ გეოპოლიტიკურ სქემებში, რომლებიც შემუშავებულია თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის მთავარი აქტორების მიერ. სვაარაუდოა, რომ სამხრეთ კავკასიის და კასპიის პრობლემატიკის

გეოსტრატეგიული ასპექტები უახლოეს პერიოდში მოახდენს გავლენას რეგიონში სიტუაციის განვითარებაზე.

მთავარი ამოცანაა, რომ მომავალში აღნიშნული პრობლემა გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური შემადგენლიდან უნდა ტრანსფორმირდეს პირველ რიგში გლობალური ენერგოუსაფრთხოების რესურსების ექსპლოატაციის ტექნიკურ და ეკონომიკურ პრობლემატიკაში. დღევანდელი რელობით თუ ვიმსჯელებთ აღნიშნულ სივრცეში პრობლემატიკა ბევრად რთული და მრავალაზრობრივია, რაც მოითხოვს მნიშვნელოვანი ყურადღების დათმობას სამხრეთ კავკასიის და კასპიის ზღვის პრობლემების გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ასპექტებზე, რომლებიც თავის მხრივ ჩრდილავს ეკონომიკურ და ტექნიკურ საკითხებს.

მეოცე საუკუნეში, მსოფლიო ისტორიის სხვა პერიოდების მსგავსად საერთაშრისო კონფლიქტების მრავალი მაგალითი არსებობდა. განსაკუთებით მნიშვნელოვანი კონფლიქტები რომლებმაც მნისვნელოვანი როლი ითამაშე კაცობრიობის ისტორიასი, იყო ორი მსოფლიო ომი. სამხედრო კონფრონტაცია დაიწყო ეთნიკური ჯგუფების კუთვნილი ტერიტორიების გამო რომელიც ახალ სუვერენულ სახელმწიფოებს შორის კოლონიალური სისტემის დაშლამ გამოიწვია, აღნიშნულ კონფრონტაციას ეთნოკონფესიური, სოციალური და ეკონომიკური საფუძველი ჰქონდა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, კავკასია საკმაოდ მრავალწახნაგოვანი რეგიონია, რაც დასტურდება იმ რეალური ფაქტებით, რომლებიც ჩვენს თვალწინ 21-ე საუკუნეში ხდება. კავკასიის რეგიონი პოსტსაბჭოთა პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო რეგიონად ითვლებოდა მთელ მსოფლიოში. თავისი ისტორიის განმავლობაში , კავკასია წარმოადგენდა აზიისა და ევროპის კონტინენტის ძალიან მნიშვნელოვანი ადგილს, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ სხვადასხვა ცივილიზაციების და რელიგიების წარმომადგენლები, მათ შორის ისლამი, ქრისტიანობა, ბუდიზმი და სხვ.

კავკასიის რეგიონი თავისი ისტორიის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ჰეგემონიის დრომდე მუდმივად იყო ჩართული საერთაშორისო საკომუნიკაციო ქსელში. მთავარ მიზეზს რუსეთის მიერ სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყნის: სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის მიმართ განსაზღვრული პოლიტიკა წამოადგენდა. რუსეთი მაქსიმალურად ცდილობდა ძალაუფლება მის ხელთ ყოფილიყო და მსოფლიოში პირველი ადგილი დაეკავებინა ამ თვალსაზრისით , რაც მეტნაკლებად წარმატებით გამოუვიდა. რეგიონი ისევ დიდი აქტუალობით სარგებლობს საერთაშორისო ასპარეზზე, ვინაიდან ევროპასა და აზიას შორის ის არის სატრანზიტო დერეფანი. ზუსტად ეს არის ის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რამაც გამოიწვია დიდი ინტერესი საერთაშრისო ორგანიზაციების მხრიდან. [28]

თანამედროვე მსოფლიოსთვის საერთაშორისო თანამეგობრობის ერთ-ერთი მწვავე და აქტუალური პრობლემაა რეგიონალური პრობლემების დარეგულირება, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის რთულ ეთნიკურ სივრცეში. რეგიონში არსებული პრობლემები მუდმივად არის პოლიტიკოსებისა და დიპლომატების დაკვირვების ქვეშ.

**როგორ განვითარდა სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტი?**

მრავალი წლის განმავლობაში რეგიონში არსებული დაძაბულობა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ღია კონფლიქტებში გადაიზარდა. რაც ხშირ შემთხვევაში სისხლიან დაპირისპირებას იწვევდა კავკასიის ტერიტორიაზე.[29] სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მნიშვნელოვან კონფლიქტს წარმოადგენდა სომხურ-აზერბაიჯანული დაპირისპირება ყარაბაღთან დაკავშირებით. აღნიშნული თემის

---

[28] სამხრეთ კავკასია (ისტორიული ექსკურსი)

სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და მათი მოგვარების გზები

სტუდენტური ამბები-2013 წლის 9 სექტემბერი

http://studinfo.edu.aris.ge/2013/09/09/samxret-kavkasiis-konfliqtebi/

[29] მილიტარიუმი-ქართული სამხედრო პორტალი „ კონფლიქტები კავკასიაში საბჭოთა კავშირის შემდეგ“ https://militarium.org/postsabchouri-konfliqtebi/

განხილვისას აღსანიშნავია , რომ  სომხებიც და აზერბაიჯანელებიც ამტკიცებდნენ საკუთარ უფლებას მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე,  რომელიც წარმოადგენდა ყოფილი აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის  ავტონომიურ ოლქს. მთიანი ყარაბაღი თავის მხრივ მოიცავდა რამდენიმე სხვადასხვა ტერიტორიას, რომელიც  აერთიანებდა მის ირგვლივ არსებულ მიწებს, მათი უმეტესობა კი  შედიოდა აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მფლობელობაში. ის დღესაც არსებობს დამოუკიდებელი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

აღნიშნული კონფლიქტის მთავარ საფუძველს სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკასთან გაერთიანება წარმოდადგენდა, რაც იყო მთიანი ყარაბაღის ტერიტორიაზე მცხოვრები სომეხი ხალხის სურვილი. 1989 წელს მანიფესტაციების გამართვა მოჰყვა, როგორც აზერბაიჯანში, ისე სომხეთში, სომხეთის საბჭოთა სოციალისტური უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას  მთიანი ყარაბაღის  ავტონომიური ოლქის სომხეთთან მიერთების თაობაზე.

როდესაც სომხეთში შეიცვალა ხელისუფლება, პრეზიდენტმა რ. ქოჩარიანმა მოლაპარაკებების წარმოება დაიწყო აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰ.ალიევთან. აღნიშნულ შეხვედრას რეალურად წინსვლა არ მოუტანია  ყარაბაღის კონფლიქტის მოგვარების საკითხში,  თუმცა მნიშვნელოვანი ცვლილება ის იყო, რომ მთიანი ყარაბაღი გამოეთიშა მოლაპარაკებების წარმოების  პროცესს. სომხეთის რესპუბლიკამ ამ რეგიონში უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელების პასუხისმგებლობა  თავის თავზე აიღო .  ერთ-ერთი მთავარ წინააღმდეგობას მხარეებს  შორის წარმოადგენდა  ყარაბაღის სტატუსი.

„ 2007 წლის ნოემბერში ეუთოს მონსკის ჯგუფის თავჯდომარეებმა, ქ.მადრიდში გამართული ეუთოს მინისტერიალის ფარგლებში, აზერბაიჯანისა და სომხეთს წარუდგინეს კონფლიქტის მოგვარების 15 საბაზისო პრინციპი, რის თანახმადაც ბოლო სამი წლის მანძილზე მხარეთა პოზიციები შესათანხმებელი

დარჩა. აღნიშნული საბაზისო პრონციპები ზუსტად ეხმიანება იმ განსხვავებული შეხედულების აღმოფხვრას, რაც ამ ორ ქვეყანას გააჩნია ყარაბაღთან დაკავშირებით."[30] ექსპერტთა დასკვნების მიხედვით აღნიშნული კონფლიქტი საერთაშორისო საზოგადოების მიერ არასტაბილურად არის განხილული და აღნისნული საკითხი საჭიროებს ინტენსიურ სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოებას.

## 3.3. ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში (საქართველო,სომხეთი,აზერბაიჯანი)

ბოლო წლებში მსოფლიოში და რეგიონში განვითარებულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოს უსაფრთხოების გარემო. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულმა სამხედრო აგრესიამ, ნათლად დაგვანახა რომ მსოფლიოში ამგვარი აგრესია ქვეყნებისთვის ძირითადად აგრესორის მხრიდან პოლიტიკური მიზნების მიღწევას ემსახურება. აღნიშნულმა სამხედრო დაპირისპირებამ მნიშვნელოვნად შეცვალა კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების კუთხით არსებული გარემო. საქართველოს

[30] კონფლიქტების გაშუქება 2017 , სომხურ -აზერბაიჯანული კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო https://konpliqtebi2017.wordpress.com/page/33/

უსაფრთხოებაზე ნიშვნელოვან უარყოფით ზეგავლენას ახდენს ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული მთიანი ყარაბაღის მოუგვარებელი კონფლიქტი. [31]

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო არის ევროპული და ევროატლანტიკური სივრცის ნაწილი, მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები, კონკრეტულად, ნატოსა და ევროკავშირის გაფართოება აღმოსავლეთით. საქართველო დემოკრატიულ ქვეყნებთან მჭიდროდ ინარჩუნებს კავშირებს, ვინაიდან საქარტველოს დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის აღნისნული ქვეყნების მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია.

გარე ფაქტორების გარდა, საქართველოს უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკური პროცესები. იმისათვის რომ ქვეყანა იყოს სტაბილური და ასევე უსაფრთხო ქვეყანად ჩამოყალიბდეს, ეკონომიკური განვითარების მაღალი მაჩვენებლის შენარჩუნებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება , რაც თავის მხრივ ქვეყანაში თავისუფალი ბაზრის განვითარებასაც გულისხმობს. თავისუფალი ვაჭრობა და ეკონომიკური ურთიერთობები სხვადასხვა სახელმწიფოებთან, აშშ-სთან, რეგიონში არსებულ ქვეყნებთან და ასევე ევროკავშირთან, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია.[32]

რეგიონული უსაფრთხოების მსჯელობისას აუცილებელია 2012 წელს შემნილი საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის განხილვა, სადაც უშაულოდ განხილულია საქართველოს უსაფრთხოების სტრატეგიაზე. საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკაში გამოიყოფა ძირითადი და მნიშვნელოვანი

[31] საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია - გვ: 24-33
https://factcheck.ge/wp-content/uploads/2014/01/ebmeba-shalva-thadumadze-sazghvris-khazze-rati-Law-phaili-2-erovnuli-usaphrthkhoebis-kontsephtsia-2011.pdf

[32] საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო
http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx

მიმართულებები. აღნიშნული მიმართულებები ეხება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის საკითხს, ასევე საქართველოს ურთიერთობას რუსეთის ფედერაციასთან, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებს და იქ მცხოვრებ მოსახლეობას, მათი რეინტეგრაციის საკითხს და საქართველოს მთელი ტერიტორიის სუვერენიტეტის აღდგენას. აქ ჩამოთვლილი ძირითადი მიმართულებები ქვეყნის უსაფრთხოების განვითარების მნიშვნელოვან პრიორიტეტებს წარმოადგენს.

რუსეთის ფედერაციისგან წამოსულ ტერორიზმის საფრთხეს საქართველო ანეიტრალებს ოკუპირებული ტერიტორიების გამოყენებით, საქართველო ავითარებს ტერორიზმთან ბრძოლის შესაძლებლობებს და საერთაშორიოსო თანამეგობრობასთან აქტიურად თანამშრომლობის გზით ცდილობს ამ საფრთხის აღმოფხვრას.

„იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნება, მათი ქონებრივი უფლებების აღდგენა და უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს სამართლიანობის, თანასწორობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სრული დაცვით, საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით და სხვა იმგვარი პირობების შექმნით, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს, ისარგებლონ უსაფრთხო, ნებაყოფლობითი და ღირსეული დაბრუნების უფლებით. საქართველო ყველა სამართლიანი და მშვიდობიანი საშუალებით აღუდგება წინ რუსეთის ფედერაციის ქმედებებს, რომლებიც მიმართული იქნება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული შემადგენლობის და ქონებრივი მდგომარეობის უკანონოდ შეცვლისკენ, მათ შორის, ამ ტერიტორიებზე დარჩენილი მოსახლეობისთვის თავს მოხვეული „შეთანხმებების“ ფარგლებში.“ [33]

---

[33] საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია http://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია რუსეთის ფედერაციაში შექმნას ისეთი თანამშრომლობითი გარემო და ხელი შეუყწოს მშვიდობის დამყარებას. საქართველოსთვის უდაოდ მნიშვნელოვანია ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობასთან ურთიერთობების გაღრმავება და განვითარება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს საქართველოს მიზნებისა და პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებული საკითხებისსადმი მათი ინფორმირებულობის გაუმჯობესებას, ამასთანავე მშვიდობის დამყარებასა და სტაბილურობის დამკვიდრებას.ვინაიდან საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა ისტორიის შედეგად მოპოვებული კულტურულ და ისტორიულ საგანძურზე ზრუნვა, კავკასიაში არსებული საოცარი ბუნებისა და ეკოლოგიის მოფრთხილება და ა.შ.

კავკასია მის ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ადამიანისთვის და ჯგუფითვის საერთო სახლს წარმოადგენს. საქართველო კი საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძვლების გათვალისწინებით მხარს უჭერს აღნიშნულ რეგიონში არსებული კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას. კავკასიის რეგიონი სტაბილურობისა და მშვიდობის საფუძვლად შეიძლება იქცეს, რეგიონში არსებული ეთნიკური, რელიგიური, დემოკრატიული და ადამიანის უფლებების დაცვის პოტენციალი.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია წარმოადგდენს დოკუმენტს, რომელშიც განმარტებულია ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები და ეროვნული ინტერესები. მასში ასევე წარმოდგენილია ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვა და განსაზღვრულია ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები, გარდა ამისა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ადგენს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

# დასკვნა

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომით წარმოჩინდა ადამიანის უფლებების ნებისმიერი სახით დარღვევის უნივერსლური ღირებულება. გლობალიზაციის შედეგად პრობლემამ განზოგადებული სახე მიიღო, რომელიც ძირითად შემთხვევაში პოლიტიკური რეპრესიებისა დ შეიარაღებული კონფლიქტების ფონზე დემოკრატიული ინსტიტუტების ძირეული ცვლილებების საფუძველია.

შედეგად რეგიონში დადგა ორი მნიშვნელოვანი გამოწვევა სტაბილურობისა და უსაფრთხოების ჭრილში. ნაშრომმა გამოკვეთა, რომ პოლიტიკური რეპრესიები და შეიარაღებული კონფლიქტები სასიცოცხლო გავლენას ახდენს ზემოთაღნიშნულ გამოწვევებზე.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მაგალითებმა, ცალსახად, აჩვენა რომ ადამიანის უფლებების უხეში და სისტემური რღვევის პროცესი პოლიტიკური რეპრესიებისა და შეიარაღებული კონფლიქტების ფონზე მიმდინარეობდა. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებულმა მანკიერმა პრაქტიკამ კი სერიოზული კვალი დატოვა რეგიონის დემოკრატიულ ტრანსფორმაციაზე. აღნიშნული მიგნებების დასამტკიცებლად, ნაშრომი დაფუძნებულია სოციალური კონსტრუქტივიზმის თეორიაზე, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების ეტაპებს შორის კოროლაციისა და ურთიერთდამოკიდებულების ღრმა და მრავალმხრივი ანალიზის საშუალებას გვაძლევს. გამოყენებულ იქნა ცალსახდ მნიშვნელოვანი კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცაა თვისებრივი და კონტენტ ანალიზი. აღნიშნული მეთოდების საშუალებით, შესაძლებელი გახდა იმ კვლევების, მოსაზრებებისა და ფაქტების გააზრება, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ადამიანის უფლებების შელახვასა და დარღვევასთან პოლიტიკური რეპრესიებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს. ამასთანავე, რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური მემკვიდრეობა და შესაბამისად გარდამავალი პოლიტიკური სისტემების არსებობა აშკარად მოითხოვს „არალიბერალური და ლიბერალური დემოკრატიის თეორიის“ გამოყენებას. მოცემული თეორია წარმოაჩენს კავკასიაში ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების

შედეგად ადამიანის უფლებების დარღვევის გამომწვევი მიზეზების დადგენას. გამომდინარე იქიდან რომ ნებისმიერ ავტორიტარულ სისტემაში არსებობს ადამიანის უფლებების დარღვევისკენ სწრაფვა. მსოფლიოს მასშტაბით შექმნილია რამდენიმე საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც იცავს ინდივიდს. შესაბამისად, მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული ამ საერთაშორისო კონვენციებზე, რაც თავისთავად აფართოებს საკითხის აქტუალურობასა და მის გავლენას გლობალურ დონეზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჰიპოთეზის განსამტკიცებლად ნაშრომში მოყვანილია ეროვნული უსაფრთხოების ჩიხის მნიშვნელობა, რომლის წინაშეც ნებისმიერი გარდამავალ ეტაპზე მყოფი სახელმწიფო შეიძლება აღმოჩნდეს. ამ უკანასკნელთან ერთად, „გეოსტრატეგიული ბალანსის თეორია“ უპირობოდ წარმოაჩენს სამხრეთ კავკასიის რეგიონის თავისებურებებს პოლიტიკური ტრანსფორმაციის ეპოქაში.

რეგიონულ დონეზე არსებული პოლიტიკური ლანდშაპტის წარმოსაჩენად, აღსაწერად და გასაანალიზებლად ნაშრომში დასმულ საკვლევ კითხვებს, ზემოთაღნიშნული მეთოდების დახმარებით, ფაქტების ერთმანეთთან დაკავშირებით და საკუთარი მოსაზრებების დახმარებით ამომწურავი პასუხები გაეცა.

*რა ფაქტორები განაპირობებს პოლიტიკურ რეპრესიებს და შეიარაღებულ კონფლიქტების კავკასიის რეგიონში?* აღინიშნა, რომ პოლიტიკურ რეპრესიებისა და შეიარაღებული კონფლიქტების ერთ-ერთი მთავარი წყარო გარდამავალი პოლიტიკური რეჟიმებია; შედეგები ყოველთვის საკმაოდ მძიმე, რთულად აღმოსაფხვრელი და პრობლემურია.

*პოლიტიკური რეპრესიებისა და შეიარაღებული კონფლიქტების პირობებში რამდენად სტაბილური და პროგნოზირებადი შეიძლება იყოს რეგიონში განვითარებული გეოპოლიტიკური პროცესები ?* აღინიშნა, რომ რეპრესიებისა და

კონფლიქტების მოწმე სახელმწიფოებს უძნელდებათ გეოპოლიტიკური პროცესების პროგნოზირება და შედიან ეროვნული უსაფრთხოების ჩიხში, ვერ იცავენ გეოსტრატეგიულ ბალანსს.

*რამდენად გადაიქცა შეიარაღებული კონფლიქტები და პოლიტიკური რეპრესიები პოლიტიკურ ინსტრუმენტად ძირითადი აქტორების მიერ  თავიანთი ინტერესების განსახორციელებლად?* მნიშვნელოვანია მიგნება, რომლის მიხედვითაც რეპრესიები და კონფლიქტები ხშირად ძირითადი აქტორების მიერ საკუთარი ინტერესების განსახორციელებელ პოლიტიკურ ინსტრუმენტად არის გამოყენებული.

*რომელი ტენდენციები იკვეთება კავკასიის რეგიონში დემოკრატიის მოწყვლადობის პირობებისთვის, განსაკუთრებით არა-დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმების პირობებში?* გამოიკვეთა რეგიონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტენდენციები, რომლებიც ზედემეტ სიფრთხილეს საჭიროებს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების პოლიტიკურ სცენაზე. ლავირება ავტოკრატიულ მმართველობასა და ტრანზიტულ დემოკრატიას შორის, გადაუჭრელი ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები, არადემოკრატიული რეჟიმებისკენ სწრაფვა, ადამიანის წინააღმდეგ ჩადენილი სახელმწიფო დანაშაული, უნივერსალური უფლებების შელახვა _ აღიშნული ტენდენციები დაუყონებლივ აღმოფხვრას და გამოსწორებას, სტრუქტურების სრულიად გამოჯანმრთელების უდიდეს მნიშვნელობაზე მიგვითითებს.

ნიშანდობლივია, რომ ნაშრომში ასახული პოლიტიკური, სოციალური და სამართლებრივი საკითხები დღემდე არ კარგავს აქტუალურობას არამარტო ჩვენს, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ადამიანის უფლებების დარღვევა ყოველდღიურობაში გამოწვეულია მრავალი განსხვავებული ფაქტორით, თუმცა ის მასიურობა, რაც წარმოჩენილია პოლიტიკური რეპრესიებისა და შეიარაღებული კონფლიქტების დროს, ცალსახად და უპირობოდ აღემატება სხვა დანარჩენ ფაქტორებს.  შესაბამისად, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ პოსტ-ბიპოლარული

სამხრეთ კავკასია დღემდე რჩება ამორფულ პოლიტიკურ ტოპონიმად ადამიანის უფლებების დაცვის რუკაზე.

# გამოყენებული ლიტერატურა


1. დ. პიპინაშვილი, სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები. თბ,პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, 2009წ.
2. ეკა აკობია - საერთაშორისო ურთიერთობების თეორია - სალექციო კურსი სოც.მეცნ. მაგისტრატატურისათვის ; თბილისი, სოციალლურ მეცნიერებათა ცენტრი, 2006 წელი/
3. ვ. მაისაია, გ. მაღრაძე- 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობა-რეგიონალური და გლობალური ასპექტები. გამომც. „უნივერსალი“ 2017წ.
4. ვ.მაისაია - შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. ქართულ-ევროპული ინსტიტუტი (პარიზი) კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (თბილისი)- პარიზი 2003 წ.
5. ირაკლის მენაღარიშვილი -ექსპერტის აზრი „ ჩრდილოეთი კავკასია- საქართბელოს პრობლემური სამეზობლო“, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერტობათა კვლევის ფონდი , 2013 წელი
6. ისმაილოვი.ე/პაპავა.ვ მონოგრაფიულ წიგნი: ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება, თბილისი,2012.
7. კონფლიქტების გაშუქება 2017 , სომხურ -აზერბაიჯანული კონფლიქტი მთიანი ყარაბაღის გამო
8. კ.ჟღენტი, კონფლიქტების მოგვარების პერსპექტივები სამხრეთ კავკასიაში
9. მალხაზ მაცაბერიძე- თანამედროვე სომხეთის პოლიტიკური სისტემა, სალექციო კურსი: კავკასიის შედარებითი პოლიტიკა, თემა II, თბილისი -2018 წელი
10. „ნდობა და მშვიდობის მშენებლობა სამხრეთ კავკასიაში/ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC), ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი, თბილისი, 2015.
11. რ.კ.სმიტი „ადამიანის საერთაშორისო უფლებები“ გაეროს განვითარების პროგრამა, სახალხო დამცველის აპარატი, თბილისი, 2006.

12. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია
13. საქართველოს კანონი, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ
14. სამხრეთ კავკასიის პრობლემები და გამოწვევები, intermedia.ge, 2014.29.12
15. ჩიქოვანი ნინო; რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში; თბ.; სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი 2006 წ.
16. ჩიტაძე ნიკა; გეოპოლიტიკა; თბ.; 2011 წ.
17. გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციები კავკასიაში: ისტორია და თანამედროვეობა: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ბათუმი, 2016 წლის 18 მარტი.
18. The Causes and Consequences of State Repression in Internal Armed Conflict: Sub-State Capacity and the Targets of State Violence Philip Hultquist
19. Morlino L., "Democracy Between Consolidation and Crisis: Parties, Groups, and Citizens in Southern Europe", Oxford, Oxford University Press, 1998.
20. Morlino L., "Hybrid Regime or Regime in Transition?", FRIDE working paper 70, September 2008.
21. McFaul M., "Transition from post-communism", Journal of Democracy, vol.16 (3), 2005, pp. 5-19.
22. "Implementation of EU-Georgia Association Agenda 2014–2016: Assessment by Civil Society," March 2017, https://www.osgf.ge/files/2017/Publications/Final_report_ENG.pdf
23. Francis Fukuyama ,,end of history'', 1989, 1-18
24. https://www.civiceducation.ge/ka/lessons/2-20 პოლიტიკური იდეოლოგიები და რეჟიმები - ბოლო ნახვა: 15/05/2019
25. http://www.humanrights.ge/index.php?a=main&pid=7999&lang=geo - საქართველო არშემდგარი ქვეყანა- გამოქვეყნებულია 24/12/2019 - ბოლო ნახვა: 15/05/2019
26. http://studinfo.edu.aris.ge/2013/09/09/samxret-kavkasiis-konfliqtebi/ სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და მათი მოგვარების გზები- ბოლო ნახვა : 17/05/2019

27. https://jam-news.net/human-rights-abuses-in-the-caucasus-findings-by-amnesty-international/ Human rights abuses in the Caucasus – findings by Amnesty International ბოლო ნახვა: 18/05/2019
28. https://www.hrw.org/reports/2005/ethiopia0505/ Publications: Himan Rights Abuses Political Repression in Ethiopia's Oromia Region ბოლო ნახვა: 18/05/2019
29. https://oxfordre.com/politics/view/10.1093/acrefore/9780190228637.001.0001/acrefore-9780190228637-e-32 Oxford Research Enciclopedias –Politics-The Strategic Use of State Repression and Political Violence ბოლო ნახვა: 21/05/2019
30. https://www.berghof-foundation.org/fileadmin/redaktion/Publications/Handbook/Articles/smith_handbook.pdf - Dan SmiTh- Trends and Causes of Armed Conflict- ბოლო ნახვა: 21/05/2019
31. https://legalanswers.sl.nsw.gov.au/hot-topics-80-international-humanitarian-law/types-armed-conflict State library – new south wales – Chapter 4: Types of armed conflict ბოლო ნახვა : 23/05/2019
32. -http://www.mfa.gov.ge/ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - ბოლო ნახვა : 24/05/2019
33. http://warpp.info/en/m1/articles/definitions-of-war-and-conflict-typologies Definitions of war and conflict typologies - ბოლო ნახვა 24/05/2019
34. https://www.e-ir.info/2018/02/23/introducing-constructivism-in-international-relations-theory/ Introducing Constructivism in International Relations Theory – ბოლო ნახვა 30/05/2019
35. https://www.e-ir.info/publication/international-relations-theory/ - International Relations Theory ბოლო ნახვა: 01/06/2019
36. https://online.norwich.edu/academic-programs/resources/key-theories-of-international-relations Academic Programs » Resources » Key Theories of International Relations by Norwich University Online October 16th, 2017 - ბოლო ნახვა 02/06/2019